ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 11 იანვარი 1996 №2 (367) ფასი 40 თეთრი


# დინამო: საშობაო






## მეოთხე ქართველი ტრაბზონში

გუშინ ანთალიაში გოჩა ჯამარაულმა „ტრაბზონსპორთან“ წელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გოჩას თურქეთში მერაბ ჟორდანია და რომან შოთაძე გაჰყვნენ, რომელთა ჩამოსვლისთანავე ჯამარაულის ამბებს უფრო დაწვრილებით შეგატყობინებთ, რაკიღა თურქეთში დარეკვის არაერთი მცდელობის მიუხედავად, გუშინ საღამოს ამის მეტი ვერაფერი შევიტყვეთ.

# ჩივაძის თხოვნას დავაკმაყოფილებთ

## განაცხადა დავით კვინიკაძემ

ალექსანდრე ჩივაძის საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგომა ამ დღეებში ალბათ ოფიციალურად დადასტურდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 18 დეკემბრის აღმასკომის სხდომის შემდეგ ოც დღეზე მეტი გავიდა. ბატონმა საშამ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადადგომა ამჯობინა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასეა — ჩივაძე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის კატეგორიული წინააღმდეგია. თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ყველაფერი აღმასკომის უახლოეს სხდომაზე გაირკვევა. მანამდე კი ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის განცხადებას დავყაბულდეთ:

— ფედერაციის ხელმძღვანელობა 9 იანვარს შეხვდა ჩივაძეს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვთხოვეთ საშას, გადაესინჯა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ მან კატეგორიულად გამოგვიცხადა, ჩემს უწინდელ აზრზე ვარ და ნაკრების მწვრთნელად აღარ ვიმუშავებო. ფედერაციის მოხელეებს სხვა რა გზა დაგვრჩენია, ჩივაძეს ორჯერ ვთხოვეთ გადაწყვეტილების შეცვლა, ის კი...

აღმასკომის სხდომის ჩატარების დღე ჯერჯერობით უცნობია, ამ დღეებში ალბათ ამაზეც მოვილაპარაკებთ და, ჩემი სუბიექტური აზრით, ჩივაძის თხოვნას დავაკმაყოფილებთ. ამავე სხდომაზე ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობაც გაირკვევა, ინგლისამდე ცოტა დრო დარჩა და ვინმემ ხომ უნდა უხელმძღვანელოს ნაკრებს.

**— კანდიდატებიც გეყოლებათ შერჩეული.**

— რა თქმა უნდა. კანდიდატები მრავლად არიან, მაგრამ დროებით თავს შევიკავებ მათი დასახელებისგან.

**— და მაინც, იქნებ გვითხრათ, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი?**

— მოკლედ, აღარ მეშვებით. დავით ყიფიანი, მალხაზ ლაცაბიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ნოდარ კიკნაძე, გივი ნოდია და კიდევ რამდენიმე პიროვნებაა კანდიდატი. საბოლოოდ, როგორც ვთქვი, აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დავამტკიცებთ ნაკრების მწვრთნელს.

**კობა ინასარიძე**

*...კაცობრიობა გადარჩა იმიტომ, რომ იცინოდა — ალბათ ამ ცნობილი გამონათქვამით ხელმძღვანელობს დავით კვინიკაძე თავის საქმიანობაში. სხვა რა უნდა გაიფიქრო კაცმა, როცა ქრონიკულად წამგებ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის სავარაუდო კანდიდატთა დასახელებისას ყიფიანის, ძოძუაშვილის და ნოდიას კომპანიაში ლაცაბიძის და კიკნაძის სახელებსაც გაიგებ. ან ამ ახალგაზრდა მწვრთნელებს რას ერჩის ფედერაციის გენმდივანი, რომელთაც თავიანთი პრობლემებიც მისჭარბებიათ, ან გამოცდილებმა რა დაუშავეს, გამოცდილებს რომ უამხანაგებს ასე აშკარა ირონიით, ან რას გვერჩის ყველა ჩვენგანს — ქართულ ფეხბურთის გულდათუთქულ ჭირისუფლებს, რომელთაც სახუმარო აღარაც არა აქვთ საქმე. ქართველ გულშემატკივარს ჯერაც პანაშვიდი აქვს 9 ნოემბრის მერე და იქნებ ახალი „ხუმრობა“ ბევრმა ვერც გაიგოს და...*



# იაშკა ლიუბეკში წავიდა

ზეგ გერმანიაში გაფრინდება ალექსანდრე იაშვილი, რომელიც იქაური მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერ „ლიუბეკში“ ითამაშებს. „ლიუბეკი“ პირველი წრის მერე თვრამეტ გუნდში ბოლო ადგილზეა 13 ქულით (2 მოგება, 7 ფრე, 8 წაგება), თანაც ლიგაში ყველაზე ნაკლები — 12 გოლი აქვს გატანილი და 20 წლის ქართველი ფორვარდიც, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის 85 მატჩში 80 გოლი გაიტანა, სწორედ შედეგიანობის გასაუმჯობესებლად სჭირდებათ, რადგან მეორე წრეში თავის გამოდება მართებთ ლიგაში დასარჩენად. „ლიუბეკის“ ერთ-ერთი კონკურენტი კახი ცხადაძის ყოფილი „აინტრახტიც“ იქნება, რომელსაც 19 ქულით ბოლოდან მეოთხე ადგილი უკავია.

# ხუთი ქართველი ალანიაში

ეტყობა, „ალანიას“ მთავარ მწვრთნელს ვალერი გაზაევს თავისი გუნდი ქართველთა გარეშე ველარ წარმოუდგენია. სხვა რით აიხსნება ჩვენებურთა ასეთი მიზღვავება ვლადიკავკაზში — 16 იანვარს ისრაელში, შეკრებაზე, „ალანიას“ ხუთი ქართველი ფეხბურთელი გაჰყვება: შელია, კობიაშვილი, ცხადაძე, გახოკიძე და გურჩუა. გუშინ სატელეფონო საუბრისას გაზაევმა გვამცნო, რომ გადაწყვიტა „ალანიაში“ ხუთივე ქართველი დაიტოვოს. შევიტყვეთ ისიც, რომ გახოკიძეს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია. რაც შეეხება ფოთელთა პრეტენზიებს გახოკიძის თაობაზე, „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტის მერაბ რატიანის თქმით, ფოთელები მართლები არიან, უბრალოდ, მოლაპარაკება ისე სწრაფად დამთავრდა, რომ დინამოელებმა ფოთელთა გაფრთხილება ვერ მოასწრეს. ახლა, კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ, ორივე მხარე დასხდება და ფოთელთა კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პრეტენზია დაკმაყოფილდება.

გუშინ საქართველოს რაგბის კავშირმა გამოავლინა გასული წლის წარჩინებული მოთამაშეები.

საქართველოს ნაკრებისა და „გუმარის“ კაპიტანი დიმიტრი ობოლაძე (ფოტოზე) ერთხმად დასახელდა წლის საუკეთესო მორაგბედ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები შოთა მოდებაძე და პავლე ჯიმშელაძე. წლის საუკეთესო დებიუტანტთა სიაში ადგილები ასე განაწილდა: ილია ზედგენიძე (ლელო), ბობა კვინიხიძე (ქორები), თორნიკე კიზირია (გუმარი). საუკეთესო ბომბარდირი გახდა ბესო ტეფნაძე (ყოჩები).



# მატჩიც გადარჩა. «ვითას» ჯერჯერობით არ იშლება. მაგრამ...

წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ჩაშლის საფრთხე დამუქრებია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საქართველო — ბელარუსი, აგრეთვე დაშლის პირზეა საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ვითა“. ნაკრებისა და „ვითას“ მონაწილეობამ ევროტურნირებში ჩვენი ქალაქის სპორტული ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა. ამიტომ ამ შემაშფოთებელ ცნობებს უყურადღებოდ დატოვება არ ეგებოდა და ჩვენც ნაკრებისა და „ვითას“ მთავარ მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს მივაკითხეთ.

— უპირველესად ის უნდა გითხრათ, რომ საქართველო — ბელარუსის 29 იანვრის მატჩი უეჭველად გაიმართება. გათბობის სისტემის უქონლობის გამო ეს საეჭვო იყო. ჩაშლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არსებულ სიტუაციაში ან მოწინააღმდეგის მოედანზე უნდა გვეთამაშა, რაც, ბუნებრივია, არახელსაყრელია, ანაც ნეიტრალურზე, ვთქვათ, მოსკოვში, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. გამოსავალი გამოიძებნა: კალათბურთის ფედერაციამ ჩვენს სამხედროებს სთხოვა მოწყობილობა, რომელიც, თუ მას სპორტის სასახლეში მატჩამდე სამი საათით ადრე მაინც ავამუშავებთ, გათბობას უზრუნველყოფს. ასე რომ, თბილისში მატჩი ჩატარდება.

ახლა ნაკრებისა და „ვითას“ ფინანსურ მდგომარეობაზე. მე კარგა ხანს შეგნებულად ვარიდებდი თავს ამ თემაზე საუბარს, მაგრამ მდგომარეობა მართლაც სავალალოა. ბიჭები, რომლებმაც რამდენიმე კარგი თამაში უჩვენეს მაყურებელს, ფაქტიურად, ენთუზიაზმზე თამაშობენ და კაპიკსაც არ იღებენ ამისთვის. ასეთმა მდგომარეობამ არ შეიძლება დიდხანს გასტანოს. მათ ოჯახები ჰყავთ, ელემენტარული საარსებო პირობები სჭირდებათ. მე მაინც თავს ვიკავებ კატეგორიული განცხადებებისგან. იმიტომ, რომ შეიძლება რაღაც გამოჩნდეს. ვთქვათ, სპორტდეპარტამენტში იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ნაკრების წევრებს დაენიშნოთ სტიპენდიები. ეს უკვე გარკვეული შეღავათი იქნება. რაც შეეხება „ვითას“, გუნდი კარგა ხანია რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია და ჩვენი კლუბის პრეზიდენტს თუ ვინმე არ დაეხმარა, მაშინ სასწრაფოდ ახალი საშუალებებია გამოსაძებნი. ახლა ჯერჯერობით გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ. არადა, თუ მაისამდე გუნდი ვერ შევინარჩუნეთ, მთელი ხუთი წლის ნაშრომ-ნაღვაწი წყალში ჩაგვეყრება და მეც არავითარი მორალური უფლება არ მექნება, ბიჭებს სხვა ქვეყნებში, სხვა გუნდებში წასვლა დავუშალო. არადა, ბიჭებს აქ უნდათ თამაში, ისინი აქ გაცილებით ნაკლებ გასამრჯელოზეც იქნებიან თანახმა. მაგრამ ჯერჯერობით ეს მინიმალურიც არ ჩანს. მოკლედ, მე მაინც ველოდები სასიკეთო ძვრებს და თუ ეს არ მოხდა, ალბათ, ყველა პრობლემაზე, რაც გუნდის და ნაკრების წინაშეა, ყველას გასაგონად ვიტყვი.

**— იმედი ვიქონიოთ, რომ რაღაც შეიცვლება. ახლა კი ნაკრების შესახებ გკითხავთ: ვინაა გუნდში და როგორ ემზადებით?**

— ნაკრები ფიზკულტურის ინსტიტუტის მანეჟში ვარჯიშობს, სადაც ძალზე ცუდი პირობებია. ამიტომ 15 იანვრიდან, ალბათ, რუსთავში წავალთ სავარჯიშოდ, სადაც, როგორც გვითხრეს, არის დარბაზი, რომელიც თბება. გუნდში არიან „ვითას“ კალათბურთელები და ვახტანგ ბეჟანიშვილი „დინამოდან“. ამათ დაემატებიან ლეგიონერები ვლადიმერ სტეფანია ლიუბლიანის „ოლიმპიიდან“ და დავით ბერძენიშვილი სლოვაკეთის „სლოვაკოფარმადან“, იმ გუნდიდან, სადაც ადრე ნიკოლოზ დერიუგინი თამაშობდა. ბერძენიშვილმა სულ ახლახან გააფორმა კონტრაქტი. მისი კონტრაქტის გაუფორმებლობა იყო იმის მიზეზი, რომ დათო ვერ დაგვეხმარა ნაკრების ბოლო თამაშებში. ჩვენი ცუდი სავარჯიშო პირობების გამო ლეგიონერებს ვერ ვიწვევ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, რადგან ისინი იქ კარგ პირობებში ვარჯიშობენ, აქ კი მათ ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ.

**— გუნდმა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა. რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დარჩენილ თამაშებს?**

— ჩვენ გვაქვს შანსი, მეოთხე ადგილზე აღმოვჩნდეთ, ეს კი მომდევნო ჩემპიონატისთვის შესარჩევ თამაშებს აგვაცილებს. ჩვენ ისევე მოვინდომებთ, როგორც ყველა წინა თამაშში, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, იმ პირობებში, რომელშიც ვართ, სრულფასოვნად მომზადება ამ მატჩებისთვის ძნელია.

**კოტე მგალობლიშვილი**

# ვინ არის დამნაშავე?

გასული წლის შემოდგომაზე „სარბიელში" გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია იტალიურ ფირმა „კაპასა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის წარმოშობილ კონფლიქტზე. შეგახსენებთ მის არსს: „კაპა" სპორტული ტანსაცმლის ფირმაა, რომელმაც 1996 წლის აპრილში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გააფორმა ხელშეკრულება სპონსორობის თაობაზე. ხელშეკრულებას იმავე წლის 30 სექტემბრამდე ჰქონდა ვადა, თუმცა იტალიური მხარის თქმით, მას ენიჭებოდა შემდგომი 4 წლით გენერალური სპონსორობის უფლება. 29 სექტემბერს, ტურინში, „კაპას" ოფისში თბილისიდან მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის ფაქსი, რომელშიც იგი სამომავლო თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა. უსიამოვნებაც აქედან დაიწყო. იტალიელებს სწამთ, რომ ხელშეკრულებაში ნათლადაა ნათქვამი ორი მხარის ხანგრძლივი პარტნიორობის შესახებ და ახალკაცის უარი კონტრაქტის ელემენტარულ დარღვევად მიღეს. „კაპას" ლიცენზიებსა და საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელმა ჯან პაოლო ლეპრონიმ 30 სექტემბერსვე გამოგზავნა საქართველოს დედაქალაქში საპასუხო ფაქსი, რომლის ადრესატებიც იყვნენ ნოდარ ახალკაცი, ქვეყნის სახელმწიფო მდივანი ნიკო ლეკიშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და პარლამენტის კულტურის, სპორტისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე რომან მიმინოშვილი. ეს წერილი 12 ოქტომბრის „სარბიელში" იყო გამოქვეყნებული და ამიტომ მთლიანად აღარ გავიმეორებთ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ მასში ბატონი ლეპრონი ახალკაცის უარს მოულოდნელ სიურპრიზს უწოდებდა და პარტნიორს შეახსენებდა საკითხის იურიდიულ და სახელმწიფო ასპექტებს, ბოლოში კი ასკვნიდა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე გავწიეთ ინვესტიციები საქართველოში და ამას მომავალშიც ვითვალისწინებთ, მიუღებლად მიგვაჩნია თქვენი პოზიცია, რის გამოც შევეცდებით ვიხმაროთ ყველა ძალ-ღონე, რაც ჩვენს შესაძლებლობებშია, რათა დავიცვათ ჩვენი უფლებები, რომლის განხორციელებასაც დავიწყებთ იტალია — საქართველოს შეხვედრიდან პერუჯაში".

იტალია — საქართველოს შეხვედრა 9 ოქტომბერს გაიმართა, „კაპას" კი არაფერი უღონია. ამის მიზეზი მოგვიანებით, თბილისში გვითხრა ფირმის საქართველოს მხარის მენეჯერმა მაურიციო ბედინმა. „კაპას" ჩანაფიქრი ასეთი ყოფილა: პერუჯაში საქართველოს ნაკრებისთვის პოლიციის ძალით აპირებდნენ ფორმის ჩამორთმევას (რადგან ქართველები „კაპას" ჩაცმას არ აპირებდნენ), ხოლო მატჩის შემოსავლის იმ ნაწილს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რომ ერგებოდა, ადრესატს არ გადაურიცხავდნენ. გეგმის განხორციელებას წინ აღუდგა ვიღაც გავლენიანი ადამიანი, რომლის ვინაობის დასახელება ბატონმა ბედინმა არ ისურვა, მაგრამ გვითხრა, რომ ეს პიროვნება იტალიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობს. ამ ინკოგნიტოს „კაპას" ხელმძღვანელობისთვის უთხოვია კონფლიქტის ეპიცენტრის საქართველოში გადმოტანა, რადგან სკანდალი ევროპაში არ გახმაურებულიყო. ეს კი გავლენიან პიროვნებას ისევ საქართველოს პატიოსანი სახელის დაცვისთვის უნებებია. ბატონმა ბედინმა იმ საუბარში სავარაუდო სარჩელის აღძვრაზეც ჩამოაგდო სიტყვა.

იმ დღეებიდან მოყოლებული „სარბიელის" კორესპონდენტებმა რამდენჯერმე მიმართეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კომენტარისთვის, მაგრამ ამაოდ. „სარბიელის" მოტივი გასაგები იყო: როდესაც კონფლიქტის მონაწილე ორი მხრიდან ერთმა თავისი პოზიცია რამდენჯერმე გამოთქვა, მეორესაც აქვს სრული უფლება მოწინააღმდეგის სიტყვას საკუთარი დაუპირისპიროს. მით უფრო, თუ პირველი მხარე სამიათასი კილომეტრის გადაღმელია, მეორე კი შენი თანამემამულე. სინამდვილე სხვაგვარი აღმოჩდა. „კაპა" თავისი წილი სიმართლის დასამტკიცებლად არგუმენტების მოყვანას იტალიიდან ახერხებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კი თავისი წილის თქმა აქ თბილისშივე არ სურს. ამ პოზიციამ იმთავითვე დაბადა ეჭვი — იქნებ ქართულ მხარეს ის თავისი წილი სიმართლე საერთოდ არ გააჩნია და „კაპა" მართალია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ ვერ ვითავებთ. ასეთ საკითხებში გასარკვევად იურისტები არსებობენ. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ფედერაციაა მართალი, უბრალოდ ამ თემაზე საუბარი არ ეხალისება.

დეკემბერში, საკითხში უკეთ გასარკვევად ტურინში დავრეკეთ და „კაპას" ლიცენზიებსა და საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელს ჯან პაოლო ლეპრონის ვესაუბრეთ. „სარბიელის" მკითხველს ეხსომება ლეპრონის ნათქვამი — ჩვენ დავიქირავეთ საერთაშორისო სამართლის ადვოკატი, რომელიც საქმეს ეცნობა, ცოტას დავიცდით და მერე სასამართლოში სარჩელს აღვძრავთო. მან განაცხადა, რომ „კაპას" საქართველოში ჰქონდა დანახარჯი, რომელსაც კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაცია აანაზღაურებინებენ. ენახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. იქნებ „კაპა" ჯერ კიდევ გავლენიან პიროვნებებსა და რაღაც წყალქვეშა დინებებს უწევს ანგარიშს, ან იქნებ რაღაც სხვას ელოდება.

მაინც რად დაუჩემებია იტალიურ ფირმას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპონსორობა? ამის გასაგებად მაურიციო ბედინის „სარბიელისთვის" მიცემულ ინტერვიუს მივუბრუნდეთ. 31 ოქტომბრის ნომერში იგი ამბობს: „საქართველოში საფეიქრო მრეწველობის განვითარება „კაპასთვის" სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანია და ამისთვის ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა გვესაჭიროება. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პროექტი თავად საქართველოსთვისაა ძლიერ სარგებლიანი. აქ მხოლოდ ერთი გუნდის შემოსვაზე არაა ლაპარაკი, საქმე მთელი ინდუსტრიის დანერგვას, სამუშაო ადგილებსა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება".

მაშ ასე, „კაპას" საქართველოში საფეიქრო მრეწველობის აღორძინება და გაძლოლა სურს. იქნებ აქედან ყოფილი სსრკ-ს ბაზარი უფრო ახლოსაა, რომლის დაპყრობაც ნებისმიერი ფირმისათვის მილიარდებიან შემოსავალს ნიშნავს? სპორტული ტანსაცმლის ფირმისთვის კი, საწყის ნაბიჯად, ფეხბურთში არც თუ უნიჭო ქვეყნის ნაკრების თუ პირველობის სპონსორობა ურიგო არ უნდა იყოს.

რაღა ფეხბურთის ფედერაცია? აბა რომელი სპორტის? აქ ყველაფერი ნათელია.

ამრიგად ჩვენ ვიცით კონფლიქტის არსი, მაგრამ არ ვიცით მისი გამომწვევი მიზეზი. რამ აიძულა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უარი ეთქვა (თუ დაერღვია კონტრაქტი) ფირმისთვის, რომელიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, „ბარსელონას" და „იუვენტუსს" მოსავს? ნუთუ წამგებიანი კონტრაქტი იყო? თავად განსაჯეთ:

## განზრახულობათა ოქმი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა („ფედერაცია") და საფეხბურთო სპორტული აღჭურვილობით მოვაჭრე შპს „კაპას" შორის

❶ ამჟამად ფედერაცია ეძებს ტექნიკურ სპონსორს, ხოლო ჩვენს ჯგუფს აქვს სურვილი გახდეს ფედერაციის ერთადერთი სპონსორი და ლიცენზიორი „კაპას" საფირმო ნიშნით.

❷ ფედერაცია მოაწყობს 5 ამხანაგურ მატჩს.

❸ ზემოთ აღნიშნული მატჩებისთვის „კაპამ" ფედერაციას მიაწოდა ან მიაწვდის შემდეგ აღჭურვილობას:

| პროდუქცია | ერთი მატჩისთვის | მთლიანად |
|---|---|---|
| ოფიციალური მაისური | 21 | 187 |
| ოფიციალური ტრუსები | 21 | 187 |
| ოფიციალური გეტრები | 21 | 187 |
| მეკარის მაისური (ოფიციალური) | 2 | 18 |
| მეკარის მაისური (სათადარიგო) | — | 8 |
| მეკარის ტრუსები | 2 | 18 |
| მეკარის ტრუსები (სათადარიგო) | — | 8 |
| მეკარის გეტრები | 2 | 18 |
| ბუცები | — | 30 |
| სავარჯიშო ფორმა (მაისური ტრუსები) | — | 50 |
| მეკარის ხელთათმანები | — | 8 |

❹ ზემოაღნიშნული მოწოდების გათვალისწინებით, ფედერაცია „კაპასა" და მის კომპანიათა ჯგუფს ანიჭებს უფლებებს:

ა. ექსკლუზიური ტექნიკური სპონსორისა და „კაპას" საფირმო ნიშნის (ან ნებისმიერი სხვა საფირმო ნიშნის, რომელსაც „კაპა" დაადგენს) სპორტული ტანსაცმლის მიმწოდებლის უფლებები ნებისმიერ ადგილობრივ ან საერთაშორისო შეჯიბრებებსა თუ ტურნირზე, რომელშიც იასპარეზებენ ან მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს გუნდები. ტერმინში „გუნდები" იგულისხმება მოთამაშეები, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი და მოედნის მომვლელი პერსონალი.

ბ. უფლება, რომ ტექნიკური სპონსორობა განახორციელოს მთელს მსოფლიოში და გამოიყენოს ფედერაციისა და გუნდების (გუნდის თითოეული წევრის ჩათვლით, რომლებიც ატარებენ „კაპას" სპორტულ ტანსაცმელს) სახელები, ლოგო, საფირმო ნიშნები, ფოტოები, ვიდეო, კინო და/ან სხვა მასალები სარეკლამო, სამარკეტინგო, სავაჭრო, დისტრიბუციის მიზნით (ნიმუშების ასლების ჩათვლით).

❺ ფედერაცია უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული ტექნიკური სპონსორობა აღიარებული იქნება ყველა ოფიციალურ პუბლიკაციაში, პერიოდულ და ყველა სხვა ბეჭდვით მასალებში, სადაც ფედერაცია აქვეყნებს თავის ინფორმაციას, და პროპაგანდას გაუწევს „კაპას" პროდუქციას, როგორც ფედერაციის ექსკლუზიურ ტექნიკურ აღჭურვილობას.

❻ შემდგომში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიანიჭებს „კაპას" არჩევნის უფლებას, რომ გააგრძელოს ტექნიკური სპონსორობა 4 წლით (განახლების 4-წლიანი პერიოდულობით), „კაპას" სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი არჩევანი „კაპას" მიერ უნდა დადასტურდეს 1996 წლის 30 სექტემბრამდე. სპონსორობის ვადის გახანგრძლივება „კაპას" უფლებას მისცემს, რომ იგი იყოს ფედერაციის ერთადერთი ტექნიკური სპონსორი და მიმწოდებელი, რის საფუძველზეც „კაპა" ფედერაციას მიაწვდის ქვემოთ ჩამოთვლილ აღჭურვილობებს მოზრდილთა, 21 წლამდე ასაკის, 18 წლამდე ასაკისა და 16 წლამდე ასაკის გუნდებისთვის, და ფედერაციასთან შეთანხმებით გამოყოფს თანხებს დასაჯილდოვებლად იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციის გუნდები გაიმარჯვებენ ან მაღალ ადგილებს დაიკავებენ ტურნირებში.

| პროდუქცია | რაოდენობა |
|---|---|
| ოფიციალური გრძელი და მოკლე სახელოანი მაისურები (მეკარის მაისურის ჩათვლით) | 700 |
| გასვლის თამაშზე ჩასაცმელი გრძელი და მოკლე სახელოანი მაისურები (მეკარის მაისურის ჩათვლით) | 100 |
| ოფიციალური ტრუსები (მეკარის ჩათვლით) | 700 |
| გასვლით თამაშზე ჩასაცმელი ტრუსები (მეკარის ჩათვლით) | 100 |
| ოფიციალური გეტრები (მეკარის ჩათვლით) | 700 |
| გასვლით თამაშზე ჩასაცმელი გეტრები (მეკარის ჩათვლით) | 100 |
| ბუცები (ოფიციალური) | 180 |
| წვიმისგან დასაცავი სავარჯიშო კოსტუმი | 180 |
| სავარჯიშო ტრუსები | 180 |
| სამფერიანი სავარჯიშო მოსასხამი | 180 |
| გრძელი და მოკლე სახელოანი სავარჯიშო მაისურები | 180 |
| შალის ქუდები | 180 |
| ქუდები | 180 |
| მოსასხამები | 180 |
| მოთამაშეთა სპორტული ჩანთები | 180 |
| გუნდის თანამშრომელთა ჩანთები (დიდი) | 12 |
| სავარჯიშო გეტრები | 180 |
| ბუცები (სავარჯიშო) | 180 |
| ოფიციალური ფეხსაცმელი | 200 |

❼ „კაპას", საკუთარი არჩევანის საფუძველზე, მიენიჭება უფლება იყოს ექსკლუზიური ტექნიკური სპონსორი საქართველოს პირველი და/ან მეორე ლიგის ჩემპიონატისა და აგრეთვე ფედერაციის მიერ მოწყობილი ნებისმიერი მატჩისა თუ ტურნირისა. „კაპას" შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებებით უშუალოდ, ან სხვა პირთა (რომელთაც „კაპა" თავისი შეხედულებისამებრ შეარჩევს) მეშვეობით, „კაპას" ან სხვა საფირმო ნიშნის გამოყენებით.

ნ. ახალკაცი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (ხელმოწერა, ბეჭედი)

ნ. ახალკაცი

President:– Nodar Akhalkatsi

Football Sport Merchandise Spa

საფეხბურთო სპორტული აღჭურვილობით მოვაჭრე შპს „კაპა"

შენიშვნა: ვაწერთ რა ხელს წინამდებარე დოკუმენტს, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროდუქციის რაოდენობა, ხარისხი და დიზაინი უნდა იქნეს ხელახლად განხილული.

„კაპას" გეგმებში ერთხელაც გასარკვევად გავეცნოთ გასული წლის სექტემბერში ტურინიდან საქართველოს ხელისუფლებისთვის გამოგზავნილ კიდევ ერთ წერილს.

**ბატონ კახი ასათიანს**
**ბატონ რომან მიმინოშვილს**
ტურინი — 25.09.96.

პატივცემულო ბატონებო!

გვსურს მოკლედ მოგახსენოთ საქართველოში ჩვენი ჯგუფი „კაპას" მიზნებისა და გეგმების განვითარების შესახებ, რომელიც მოიცავს ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპონსორობას.

1995 წლის ბოლოს ჩვენ მივიღეთ წინადადება პაოლო მაიერისგან სპორტული ტანსაცმლის სამკერვალო ფაბრიკა „ლელოსთან" თანამშრომლობის თაობაზე, რომლის სანახავადაც გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია 1996 წლის მარტში.

ამ ვიზიტს მოჰყვა დადებითი შედეგები და ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ერთ-ერთ ფირმა „ბეისიკ-იტალიასა" და „ლელოს" შორის ურთიერთთანამშრომლობას. აღნიშნული პროექტის მიზანი გახლავთ ფაბრიკის ამოქმედება და სპორტული პროდუქციის გამოშვება „კაპას" სახელით, რომელიც გაიყიდება როგორც საქართველოს ბაზარზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ამ ვიზიტის განმავლობაში ჩვენი დელეგაცია შეხვდა ბატონ ნოდარ ახალკაცს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომელმაც მოგვმართა თხოვნით, რათა დავხმარებოდით ეროვნული ნაკრების სპორტული ფორმის მომარაგებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიდო ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაა 1996 წლის 30 სექტემბრამდე, შემდეგი 4 წლით გენერალური სპონსორობის უფლებით.

ჩვენი ფირმა იცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ფედერაციის მიმართ და უნდა აღინიშნოს, რომ უმოკლეს ვადაში ეროვნულ ნაკრებს უკვე მიეწოდა 800-ზე მეტი სპორტული ტანსაცმლის ერთეული.

ამ ვალდებულებების გარდა ჩვენი ინვესტიციები გამოიხატება იმაშიც, რომ ფაბრიკა „ლელოსთან" ერთად გაიხსნა „კაპას" ნაწარმის მაღაზია (გამოიგზავნა 100 000 დოლარის პროდუქცია), რომლიდანაც მიღებული თანხა მოხმარდება წარმოების ამუშავებას.

ამავე დროს გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში იმყოფება ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს აღნიშნული პროექტის განხორციელებასა და მის ხორცშესხმას.

ზემოთ მოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე ჩვენმა ინვესტიციებმა ყოველგვარი უკუგების გარეშე უკვე გადააჭარბა 300 000 დოლარს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ოპერაციები კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და გაიზარდოს, რაც მომავალში, ფაბრიკა „ლელოსთან" ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, მას მოუტანს ფირმა „კაპას" ლიცენზიით მფლობელობას საქართველოში. რაც შეეხება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ასევე მჭიდრო კავშირშია ჩვენს ინვესტიციებთან და სამრეწველო და კომერციულ ოპერაციებთან საქართველოში, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ ასრულებს ჩვენს შორის კონტრაქტით დადებულ პირობებს, მიგვაჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციის სპონსორის ხელშეკრულების შეწყვეტისა და 30 სექტემბერს მისი გაუქმების შემთხვევაში ფირმა „კაპას" სტრატეგია კარგავს თავის აზრს და აქედან გამომდინარე მიუღებლად მიგვაჩნია მომდევნო ინვესტიციების განხორციელება საქართველოში.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული განმარტება ნათელს ხდის ჩვენი ფირმის ხელმძღვანელობის პოზიციას და ველით თქვენს მხარდაჭერას, როგორც საქართველოს, ასევე იტალიის მხარეების საკეთილდღეოდ.

კეთილი სურვილებით,

ფირმა „კაპას" ლიცენზიებსა და საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი
**ჯან პაოლო ლეპრონი**

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ „ადიდასის" ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ზურაბ აბესაძის განცხადებით: „ადიდასმა" უკვე გააფორმა კონტრაქტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და საქართველოს ნაკრები უკვე შეიმოსა ჩვენი ფორმით." („სარბიელი". 7 დეკემბერი. 1996). კონტრაქტის პირობებზე ბატონმა ზურაბმა საუბარი არ ისურვა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელადის საუკეთესო ლეგიონერი



თემურ ქეცბაიას აეკიდან წასვლაზე ლაპარაკი კარგა ხანია გრძელდება. მის ახალ კლუბთა შორის გერმანულ, უფრო კი ინგლისურ კლუბებს ასახელებენ. გუშინ თავად თემურს დავუკავშირდით და მის შესახებ დარხეული ხმების ცხადყოფა ვთხოვეთ.

როგორც ქეცბაიამ გვითხრა, ჯერ არაფერი გარკვეულა, ისე კი, მისი მენეჯერი ინგლისურ და გერმანულ გუნდებთან აწარმოებს მოლაპარაკებას და საქმეში სიცხადის შეტანა ერთ კვირაშია მოსალოდნელი: „აეკიდან წასვლის სურვილი იმითაა განპირობებული, რომ ამაში თვითონ კლუბია დაინტერესებული, რადგან კონტრაქტის ვადა იწურება და სურთ ჩემი გაყიდვა მანამდე მოასწრონ, რათა ფული თავად შეხვდეთ“. თუ კარგი გუნდი გამოჩნდება, ძლიერი ფინანსური უზრუნველყოფით, ბუნებრივია, თემურიც არ იუარებს, მითუმეტეს, რომ საბერძნეთში მან უკვე ბევრს მიაღწია, რისი დასტურიც 30 დეკემბერს ქეცბაიას საბერძნეთში საუკეთესო ლეგიონერად დასახელებაა.

# პორტუგალიამ კარი გაგვიღო

პორტუგალიიდან მეტად მწირი ცნობები მოგვდის ჩვენი ორი ლეგიონერის შესახებ. ის კი შევიტყვეთ, რომ „ოლიაკის“ მცველმა გოჩა ქოქოშვილმა სამი მატჩი უკვე ითამაშა, აქედან ორი „ოლიაკიმ“ მოიგო, ხოლო მესამე ლიგის ლიდერთან ფრედ ითამაშა. გოჩას თამაშით კმაყოფილმა ბრაგას „სპორტინგის“ სელექციონერმა შესთავაზა მას კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე ჩაიცვას ამ გუნდის მაისური. რაც შეეხება ზაზა ზირაქიშვილს, „ფარენსემ“ უკვე ყველა ფორმალური საკითხი მოაგვარა და ზაზა 17 იანვარს ითამაშებს კიდეც ჩემპიონატის მორიგ ტურს.

# აუცილებლად გამოვა რამე

— გვითხრა საქართველოს ნაკრებისა და ჯერ კიდევ თბილისის „დინამოს“ წევრმა კახი გოგიჩაიშვილმა, რომელიც, მადლობა ღმერთს, „ბათუმთან“ მიღებული უნებლიე ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და წლიური რეჟიმიც გასულ წელს [illegible]. ამჟამად კახის მდგომარეობა შიშს აღარ იწვევს და მაყურებელში გავრცელებული პირვანდელი შეშფოთებაც — შეიძლება გოგიჩაიშვილმა ფეხბურთი ველარც ითამაშოსო, საბედნიეროდ, არ გამართლდა. თუმცა, ასეთი საშიშროება რომ არსებობდა, თავად კახიმაც დაგვიდასტურა:

— თავიდან შიში მართლაც მქონდა, ვაითუ ველარ ვითამაშო-მეთქი — თირკმელების დაზიანება ხომ ადვილი მოსარჩენი არ გახლავთ. ახლა ყველაფერი კარგად არის და შეიძლება ითქვას, გადავრჩი, თუმცა, თირკმელში კიდევ მაქვს დარჩენილი გემატომა (შედედებული სისხლი) და ჯერ ვარჯიშს ვერ ვიწყებ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფეხზე დავდექი, თავისუფლად დავდივარ და ტკივილებიც აღარ მაწუხებს.

**— რაო ექიმებმა, ვარჯიშს როდის განაახლებო?**

— 20 იანვრისთვის, იმედია, საბოლოოდ გამოვჯანმრთელდები და ვარჯიშსაც შევუდგები.

**— ასე მალე? აკი ამბობდნენ, კახის მომჯობინებას, სულ მცირე, სამი თვე მაინც დასჭირდებაო...**

— ჩემდა საბედნიეროდ, გამოჯანმრთელების პროცესი კარგად და, რაც მთავარია, სწრაფად მიმდინარეობს. თუმცა კი, არც ორი თვეა მცირე დრო მოსამჯობინებლად.

**— მძიმე დაშავების შემდეგ ბევრი მოთამაშე მოედანს შიშით უბრუნდება. სანამ ვარჯიშს დაიწყებდე, შენც ხომ არ გაგჩენია მსგავსი გრძნობა?**

— ასე უფრო ისეთ შემთხვევებში ემართებათ, როცა ფეხი დაუშავდებათ. მე კი შიში ნამდვილად არ გამჩენია, თუმცა, უფრო ფრთხილი რომ გავხდები, ფაქტია.

**— ეს ყველაფერი კარგი და, ახლა შენი, ჯამარაულისა და ლობჟანიძის ამბავი გვითხარი. თითქოს გადაწყვეტილი იყო თქვენი „ტორპედოში“ გადასვლა, ამ დროს კი უკან გამობრუნდით...**

— ჩვენც ასე გვეგონა, მოლაპარაკებებიც თითქოს მთავრდებოდა, მაგრამ ისეთი პირობები შემოგვთავაზეს, იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა.

**— „ტორპედოს“ ვარიანტი ყველაზე რეალური ჩანდა. ახალი გუნდის ძებნას იქნებ შედარებით უარესი, მაგრამ ნაღდი ვარიანტი სჯობდა? მითუმეტეს, „დინამოში“ დარჩენას აღარ აპირებ...**

— სხვა ვარიანტებიც გამოჩნდება. ასე რომ, „ტორპედოში“ თამაშზე უარი, [illegible], სანანებელი არ გამიხდება.

**— „ტორპედოს“ პრეზიდენტის ალიოშინის სიტყვები, ახალი სეზონიდან სუპერკლუბს ვქმნით და ფეხბურთელებს ზღაპრულ პირობებში ვამყოფებთო, როგორც ჩანს, გაზვიადებულია...**

— რომელ ზღაპრულ პირობებზეა ლაპარაკი! ასე რომ ყოფილიყო, ხომ დავრჩებოდით. ალიოშინმა ისეთი პირობები შემოგვთავაზა, გამიკვირდა. უკეთესს ველოდით. ვეჭვობ, ასეთი პირობებით სუპერკლუბი შექმნან.

**— სხვა ვარიანტები გამოჩნდებაო, რომ თქვი, კონკრეტულს ხომ არ გულისხმობ რამეს? შენ თითქოს ფრანკფურტის „აინტრახტში“ უნდა წასულიყავი...**

— ეს ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემთვის „აინტრახტში“ გადასვლა კონკრეტულად არც შემოუთავაზებიათ. ახლა არის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვი, აი, ეს და ეს უფრო რეალურია და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დამრჩა-მეთქი.

**— სადაურ კლუბებზეა ლაპარაკი?**

— ისევ რუსეთის კლუბებზე, მაგრამ გუნდის დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებ. გადაწყდეს და, რა მექნება დასამალი.

**— ერთ-ერთი, ალბათ, „ალანიაა“. სანამ დაშავდებოდი, შენთან მოსალაპარაკებლად საგანგებოდ ჩამოვიდა გაზაევი და მაშინ, თითქოს, გადაწყვეტილიც კი იყო შენი „ალანიაში“ გადასვლა...**

— კი, „ალანიასთანაც“ იყო მოლაპარაკებები, თუმცა ტრავმის შემდეგ გაზაევი აღარ დამკავშირებია. საბოლოოდ არც ეს ვარიანტია გამორიცხული.

**— ვთქვათ, ყველა უცხოური ვარიანტი ჩაიშალა. ასეთ შემთხვევაში „დინამოში“ დარჩები?**

— აუცილებლად გამოვა რამე!

**— „დინამო“ ჩემპიონთა თასზე ითამაშებს. შეიძლება, იმ „დინამოში“ მაინც ვიხილოთ გოგიჩაიშვილი?**

— მანამდე რვა თვეა დარჩენილი, ამ დროში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს...

მერაბ მამულაშვილი

# ხვალ მიშა მესხი 60 წლის გახდებოდა



გურამ ციბახაშვილის ფოტო

1970 წელი. მიხეილ მესხი „ივიზის“ სიფეხბურთო სკოლის გახსნაზე

## „ტორპედო“ ქუთაისში მოემზადება

პირველჯგუფელი გუნდებიდან ქუთაისის „ტორპედო“ ერთადერთია, ვინც გასული წლის 17 დეკემბერს შეიკრიბა. რიონისპირელებს დაკარგულის ანაზღაურება განუზრახავთ და საამისოდ კლუბში ალბათ ძირეულ ცვლილებებსაც მოახდენენ. „ტორპედო“ სამმა მოთამაშემ — ვაშაკიძემ, რუხაძემ და შეყრილაძემ დატოვა. ალექსანდრე შეყრილაძემ ვლადივასტოკს მიაშურა და იქაურ „ლუჩში“ სურს ჩარიცხვა. რაც შეეხება ახალ ფეხბურთელებს, მათი შემატება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომ გუნდის დაკომპლექტება „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას ჯერაც ვერ მოუსწრია. ბუნებრივია, გადაიდო თურქეთის ქალაქ რიზეში დაგეგმილი შეკრებაც, რომელიც ადრევე იყო მოგვარებული. საბოლოოდ დაკომპლექტებამდე გუნდი შეკრების პირველ ციკლს ქათაისში, საღორიის ბაზაზე გაივლის. შეკრება 10 იანვარს დაიწყო და ორ კვირას გასტანს, ხოლო თებერვლის პირველი რიცხვებიდან რიონისპირელები თურქეთს გაემგზავრებიან.

თბილისში გავრცელებული ცნობა რამაზ შენგელიას გუნდში კონსულტანტად მისვლის თაობაზე თავად შენგელიამ უარყო. უბრალოდ გუნდს შევხდი და ველაპარაკე. მოვალეცა ვარ ასე მოვიქცეო — გვითხრა გუშინ.

## „სამტრედიამ“ მზადება დაიწყო

გუშინ, 10 იანვარს, დიდი ჯიხაიშის საწვრთნელ ბაზაზე მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა „სამტრედია“. გუნდი ბევრ მოთამაშეს მოისაკლისებს — ლატვიაში წასულ ლევან ბერიშვილს, ვახტანგ ხვადაგიანს, რომელსაც „ტორპედო“ ეპატიჟება, დათო პეტრიაშვილს, საბერძნეთს რომ მიაშურა და ელდარ გვასალიას, რომელსაც „კოლხეთისთვის“ თანხმობა შეუთვლია გადასვლაზე. გუნდის დატოვება კიდევ ბევრს სურდა და საკითხავია, რამდენი კაცი შეუდგა ვარჯიშს.

## თასის თამაშები იანვარში განახლდება

საქართველოს თასის გამოტოვებული მერვედფინალური შეხვედრები „დინამო“ — „დინამო-2“ 18 და 21 იანვარს გაიმართება. თუმცა, იმ დროისთვის „დინამო“ რეალურად შესაძლოა „დინამო-2“-ად მოგვევლინოს, რადგან საქართველოს ჩემპიონი გუნდიდან არაერთი მოთამაშის წასვლის შემთხვევაში დავით ყიფიანი იძულებული იქნება გამოიყენოს რეზერვი. ასე რომ, სავსებით შესაძლოა, „დინამო-2“ — „ნორჩი დინამოელის“ შეხვედრების მომსწრენი გავხდეთ.

## „ბენდელას თასი“ ქართულ ფეხბურთს აერთიანებს.

ტრადიციული მინი-ფეხბურთის ტურნირზე „ბენდელას თასზე“, 17-23 იანვარს რომ გაიმართება სპორტის სასახლეში, მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამო“ და „ლოკომოტივი“, წყალტუბოს „სამგურალი“, ცხინვალის „ცხინვალი“, ოჩამჩირის „ამირანი“, გულრიფშის „კოლხი“, შსს „აკადემია“, „ჭაბუკიანი“ და პირველი და მეორე ჯგუფების კიდევ რამდენიმე გუნდი.

ტურნირის კენჭისყრა გაიმართება სასტუმრო „საქართველოში“ 15 დეკემბერს, 15 საათზე. დამატებითი ცნობებისთვის გუნდების ხელმძღვანელებმა დარეკონ 22-12-23 ან 99-95-72.

## განცხადება

ვაგროვებ საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მატჩებიდან. მესაჭიროება ევროთასებზე „დინამოს“ პროგრამები: „ტვენტესთან“ (1971), მტკ-სთან, „კარდიფ სიტისთან“ (1976). აგრეთვე მჭირდება ევროთასებზე „დინამოს“ გასვლითი მატჩების, სსრკ ჩემპიონატის თამაშების (1936-70) და საქართველოს ნაკრების გასვლითი მატჩების (ბასკეთი 37; კვიპროსი 92, 96; მალტის ტურნირი 94; ლატვია 94; უელსი 95; ნორვეგია 96) პროგრამები. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი. I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი

ტელ: 67-09-31

## ასლანაძეს გული „ტორპედოსკენ“ მიუწევს

„კახეთში“ „დინამოსგან“ განათხოვრებული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარის დავით ასლანაძის გადაყვანა „ტორპედოს“ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს განუზრახავს, რაზეც „დინამოს“ ხელმძღვანელთა თანხმობაც მიუღია. თუმცა, ქუთაისელებს ასლანაძის წასაყვანად თელავის „კახეთის“ თანხმობაც სჭირდებათ, „კახეთი“ კი თავის მხრივ მოძლიერებას აპირებს და, შესაძლოა, ასლანაძის გადასვლა პრობლემურიც გახდეს.



## სალამი ნიგერიიდან სამტრედიაში

როგორც შევიტყვეთ, საქართველოში კლუბის საძებნელად ჩამოსულ ნიგერიელ ბარი სალამს ბოლოს და ბოლოს მიუგნია გუნდისთვის და ჩვენი ჩემპიონატის მეორე წრიდან ალბათ „სამტრედიის“ ღირსებას დაიცავს. გეხსომებათ, ამ ზანგს ხაშურის „ივერია“ და თბილისის „შევარდენი“ ეპატიჟებოდნენ. ხაშურელთა მწვრთნელის მალხაზ ლაცაბიძის თქმით, შავ კაცს ვერაფრით გამოუჩენია თავი ხაშურში, თანაც, იქაურ კლიმატურ პირობებსაც ვერ შეგუებია — ხაშურში თურმე ნიგერიაზე და სამტრედიაზე მეტად ცივაო, უთქვამს.


## გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა — სკ“-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — სკ“-ს.

„ელიტა — სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25


# ემზარ მამფორია: შეიძლება, მარადონამ ჩვენს გუნდში ითამაშოს

„სარბიელმა“ უკვე გაუწყათ იმის თაობაზე, რომ ყალმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა დიეგო მარადონას, თხოვნით, ჩვენთან, ელისტის „ურალანში“ ჩამოდიო. ახლახან ისიც გახდა ცნობილი, რომ მიღწეულია წინასწარი, სიტყვიერი შეთანხმება მარადონასთან, რომლის თანახმად წლეულს მარტში მარადონა ელისტაში ჩავა. ელისტის „ურალანში“ უკვე რამდენიმე წელია თამაშობს ჩვენი თანამემამულე, 32 წლის სოხუმელი მცველი ემზარ მამფორია. საახალწლოდ იგი თბილისში ჩამოვიდა მშობლებთან და ჩვენც ვისარგებლეთ ამ შემთხვევით.



**— თავდაპირველად ის გვითხარით, როგორ აღმოჩნდით ელისტაში...**

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა გავიხსენოთ ის ადამიანები, ვისი ხელშეწყობითაც გავხდი ფეხბურთელი, დავიბადე და გავიზარდე სოხუმში. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო ირაკლი ქოიავა, რომელიც შემდგომ 90-იანი წლების დასაწყისში „ცხუმის“ მეორე მწვრთნელად მუშაობდა, 1993 წელს კი აფხაზეთში იარაღით ხელში იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და იმავე წლის სექტემბერში დაიღუპა. 1980 წელს სახელგანთქმულმა გიგა ნორაკიძემ აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრებში მათამაშა, 1981 წელს კი ნიაზ ძიაფშიპამ სოხუმის „დინამოში“, სადაც რვა წელი ვითამაშე მაშინდელი საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში.

1989 წლიდან ვთამაშობდი სამტრედიის „ლოკომოტივში“, შემდეგ ხობის „კოლხეთში“, მერე ისევ „სამტრედიაში“.

1992 წლის დასაწყისში უგუნდოდ მყოფი ელისტის „ურალანის“ გუნდის უფროსმა ლინგენგოლცმა მიმიწვია ამ კლუბში გასასინჯად. ჩემთან ერთად „ურალანში“ გასასინჯად მიიწვიეს კიდევ ორი სოხუმელი ფეხბურთელი — თავდამსხმელი სერგეი არუთუნიანი და ნახევარმცველი დაურ ახვლედიანი. ისინიც სოხუმის „დინამოში“ თამაშობდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სოხუმის „დინამოს“ აღარ ჰქონდა უფლება ეთამაშა რუსეთის ჩემპიონატში და 1992 წლის დასაწყისში გუნდი, ფაქტიურად, დაიშალა, „დინამოში“ მოთამაშე აფხაზმა, რუსმა და სომეხმა ფეხბურთელებმა რუსეთის კლუბებს მიაშურეს. ასე აღმოჩნდა დაურ ახვლედიანი და სერგეი არუთუნიანი ელისტის „ურალანში“. მე ჯერ ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, მერე კი უფრო ხანგრძლივადიანს. 1992 წელს „ურალანმა“ მეორე ადგილი დაიკავა რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში, პირველ ადგილზე კი გავიდა სოჭის „ჟემჩუჟინა“, რომლის რიგებში შესანიშნავად ითამაშა გოჩა გოგრიჭიანმა — გახსოვთ, იგი ლიგის ბომბარდირიც გახდა. იმ წელს არსებული დებულების თანახმად უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ერთი გუნდი, ანუ „ჟემჩუჟინა“ გადავიდა, „ურალანი“ კი პირველ დივიზიონში დარჩა.

**— აფხაზი ფეხბურთელი დაურ ახვლედიანი ახსენეთ. 1992 წელს მასთან ერთად მთელი სეზონი ითამაშეთ „ურალანში“. არ გაგიჭირდათ მასთან ურთიერთობა? არავისთვის იყო საიდუმლო, რომ 90-იანი წლების დასაწყისშიც და მანამდეც დაურ ახვლედიანი არ მალავდა თავის სიმპათიებს სეპარატისტების მიმართ, აშკარად უჭერდა მხარს „აიდგილარას“ და ეს ყველაფერი მან დააგვირგვინა იმით, რომ 1993 წელს იარაღით ხელში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ და დაიღუპა კიდეც სოხუმის მისადგომებთან...**

— მე, დაურ ახვლედიანმა და სერგეი არუთუნიანმა 1992 წელს მთელი სეზონი ვითამაშეთ ელისტის „ურალანში“. ჩვენ ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად მიგვიწვიეს ამ კლუბში. რაიმე შელაპარაკება და კონფლიქტი დაურ ახვლედიანთან ელისტაში ყოფნის დროს არ მქონია. ორივე ვერიდებოდით საუბარს პოლიტიკურ საკითხებზე, თუმცა ორივემ ვიცოდით, რა დაძაბული ვითარება იყო აფხაზეთში. მე ჩემი აზრი მქონდა, ვიცოდი და ვგრძნობდი, რომ დაური სულ სხვანაირად აფასებდა აფხაზეთში შექმნილ ვითარებას, ამიტომ აზრიც არ ჰქონდა მასთან კამათს. მითუმეტეს, რომ ჩვენ ელისტაში ბურთის სათამაშოდ ვიყავით და არა საომრად.

**— ომის დაწყების შემდეგ დაურ ახვლედიანი დიდხანს დარჩა „ურალანში“ თუ იგი მალე დაბრუნდა აფხაზეთში?**

— დაურმა 1992 წლის სეზონის ბოლომდე ითამაშა „ურალანში“, 1993 წლიდან კი აღარ უთამაშია. აფხაზეთში წამოსვლისას თანაგუნდელებს უთხრა, შინ, გუდაუთაში მივდივარ მშობლებთანო. ნახევარი წლის შემდეგ კი სრულიად შემთხვევით გავიგეთ, რომ იგი იარაღით ხელში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ და სოხუმის მისადგომებთან დაიღუპა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ელისტაში ყოფნის დროს დაურს არც ჩემთვის, არც სხვა ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის სიტყვა არ უთქვამს ქართველების, ან საქართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ალბათ იცოდა, რომ იქ ელისტაში, აზრი არ ჰქონდა ამგვარ საუბარს პოლიტიკაზე და ეროვნულ საკითხზე. რომც ეთქვა რაიმე, არც მწვრთნელები და არც ფეხბურთელები მას არ გაუგებდნენ.

**— რატომ?**

— საქმე ისაა, რომ ელისტაში ჩასვლის პირველივე დღეებიდან ვიგრძენი ადგილობრივი ფეხბურთელების, მწვრთნელების და საერთოდ გულშემატკივრების და მოსახლეობის სიმპათიები ქართველების მიმართ. ქართველებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ელისტაში, ალბათ, დიდი ხნის ისტორია აქვს. ყოველთვის კეთილი სიტყვებით იხსენიებენ საქართველოს, ზოგი ქართველებთან ერთად საბჭოთა არმიაში მსახურობდა, ზოგიც უმაღლესში სწავლობდა, 60-იან-80-იან წლებში ელისტაში თურმე თითქმის ყველა თბილისის „დინამოს“ ქომაგობდა, ძალიან ბევრს ქართული კინო, მუსიკა და ლიტერატურა უყვარს და ა. შ. ქართველებისადმი ასეთმა თბილმა დამოკიდებულებამ შემაყვარა ელისტა და ამან გამაძლებინა იქ ხუთი წელი. რა თქმა უნდა, პირობებითაც კმაყოფილი ვარ.

**— ამიტომ აგირჩიეს 1995 წელს გუნდის კაპიტნად?**

— არა, ეს მთლად ასე არ არის. 1994-1995 წლებში გუნდის ვიცე-კაპიტნად ამირჩიეს. ალბათ იმიტომ, რომ აფასებენ ჩემს გამოცდილებას, ასაკს და საიმედო თამაშს. 1995 წელს კლუბის კაპიტანი ედუარდ ბოგდანოვი დაშავდა და ამიტომ რამდენიმე თვის განმავლობაში გუნდის კაპიტნობამ მომიწია.

**— ამ ხუთი წლის მანძილზე გქონდა თუ არა მიწვევა სხვა კლუბებიდან?**

— როგორ არა, რუსეთის პირველი ლიგის რამდენიმე კლუბი მიწვევდა, მაგრამ არსად წავსულვარ. ელისტას მივეჩვიე, თანაც აქაურზე უკეთეს პირობებსაც არ მთავაზობდნენ. უმაღლესი ლიგის გუნდს რომ მივეწვიე, მაშინ, რა თქმა უნდა, წავიდოდი, ამაზე კი მხოლოდ ზოგადი საუბრები იყო.

**— „ურალანში“ კიდევ ერთი აფხაზი ფეხბურთელი — გუდაუთელი ჯუმა კვარაცხელია თამაშობდა. ახლა სად არის იგი? რას აკეთებს სერგეი არუთუნიანი?**

— ჯუმა კვარაცხელია „ურალანში“ 1993-95 წლებში თამაშობდა. მას ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან ვიცნობდი. მაშინ ერთად ვთამაშობდით სოხუმის „დინამოში“. მასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. შემდეგ ჯუმა გადავიდა ჩიტას „ლოკომოტივში“ და მას მერე არ მინახავს. სერგეი არუთუნიანს კი არ გაუმართლა, არ წაუვიდა თამაში ელისტაში და ასტრახანის „ვოლგარში“ გადავიდა.

**— 1994 წელს საფეხბურთო წრეებში გავრცელდა ხმა, რომ თქვენ, ემზარ მამფორია, სოჭში დაესწარით საღამოს, რომელიც მიეძღვნა დაურ ახვლედიანის დაღუპვის წლისთავს, საღამოს, რომელიც მოაწყვეს აფხაზმა ფეხბურთელებმა. ამბობდნენ, რომ თქვენ იყავით ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც დაპატიჟეს ამ საღამოზე და რომელიც დაესწრო ამ ღონისძიებას.**

— სოჭში რომ აფხაზებს დაურ ახვლედიანის ხსოვნის საღამო ჩაუტარებიათ, ეს სპორტული გაზეთებიდან შევიტყვე. მე არავის დავუპატიჟებივარ ამ საღამოზე და ასეც რომ ყოფილიყო, არავითარი მორალური უფლება და სურვილი არ მქონდა დავსწრებოდი მას. გავიმეორებ: ზემოაღნიშნულ საღამოზე სოჭში არ ვყოფილვარ და არც ვაპირებდი დასწრებას. თუმცა, იმის თქმაც მინდა, რომ რუსეთის გუნდებში ბოლო წლებში თამაშობს რამდენიმე აფხაზი ეროვნების მქონე ფეხბურთელი — თამაზ ენიკი მაიკოპის „დრუჟბაში“, ძმები აჯინჯალები კალინინგრადის „ბალტიკაში“ და მათთან ნორმალური, თბილი ურთიერთობა მაქვს.

**— გასულ სეზონში სულ რამდენიმე მატჩი ითამაშეთ „ურალანის“ შემადგენლობაში. რა მოხდა? მწვრთნელებთან ხომ არ გქონიათ კონფლიქტი?**

— შარშან „ურალანში“ მთავარ მწვრთნელად მოიწვიეს წარსულში ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი პაველ იაკოვენკო. მან უკრაინიდან 12 ფეხბურთელი ჩამოიყვანა. მათი უმრავლესობა ძირითადში თამაშობდა. მიუხედავად ამისა, მე დამტოვეს გუნდში, ვემზადებოდი კიდეც ახალი სეზონისთვის, მაგრამ თებერვალში, ესპანეთში შეკრებაზე მძიმედ დავშავდი და თითქმის ოთხი თვე ვმკურნალობდი. სრული დატვირთვით ვარჯიში მხოლოდ ზაფხულის ბოლოს დავიწყე, რამდენიმე მატჩი ვითამაშე და ფორმაც აღვიდგინე. მანამდე ხუთი წელი სულ ძირითადში ვიყავი, შარშან კი ამ ტრავმამ ნახევარ სეზონზე მეტი გამომატოვებინა. იმედი მაქვს, რომ წელსაც ვითამაშებ „ურალანში“. ახლა 32 წლისა ვარ, კიდევ შემიძლია ერთი-ორი სეზონი ვითამაშო სტაბილურად. პაველ იაკოვენკო დიდ ყურადღებას აქცევს მოთამაშის ფიზიკურ მზადყოფნას, მე კი ფიზიკაში პრობლემები არ მქონდა.

**— და ბოლოს: მარადონა ნამდვილად ჩავა „ურალანში“?**

— მერწმუნეთ, რომ ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი სიტყვისა და საქმის კაცია. რადგან ისურვა და დაიწყო მოლაპარაკება მარადონასთან, აუცილებლად შეეცდება დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. საამისოდ ფულიცა აქვს და სურვილიც. გუნდს ფინანსურად არ უჭირს, შარშან მეშვიდე ადგილი დავიკავეთ პირველ ლიგაში, თუმცა იაკოვენკოსგან „ურალანის“ უმაღლეს ლიგაში გადაყვანას ელოდნენ. იმედი მაქვს, რომ თუ მარადონა „ურალანში“ ითამაშებს, მეც მექნება საშუალება ამ დიდ ფეხბურთელთან ერთად ერთი მატჩი მაინც ვითამაშო.

**თენგიზ პაჭკორია**

საგანგებოდ „სარბიელისთვის“

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის „ლივერპულმა" საბოლოოდ განაცხადა, რომ ჯეიმი რედნეპი, რომლითაც „რომა" იყო დაინტერესებული, არ გაიყიდება. „რომამ" წინადადებით მოგვმართა რედნეპის გადაყვანის შესახებ. შეხვედრაც დაგვინიშნა, მაგრამ ჩვენ ჯეიმის არ ვყიდით". — თქვა „ლივერპულის" პრეს-ატაშემ იან კოტონმა.

**საფრანგეთის „ლიონმა" დისკვალიფიკაცია მისცა მეკარე პასკალ ოლმეტას, ვინაც დეკემბრის ბოლოს თანაგუნდელს სახეში გაარტყა. ოლმეტამ განაცხადა, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს და უახლოეს მომავალში აპელაციით მიმართავს ფეხბურთის ფედერაციას. 35 წლის ოლმეტას საფრანგეთის ჩემპიონატში 474 მატჩი აქვს ჩატარებული.**

ბრაზილიელი მარსიუ სანტუში ტოვებს „აიაქსს" და სამშობლოში ბრუნდება. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი ჰოლანდიურ კლუბში ვერ ათამაშდა და აგვისტომდე „ატლეტიკო მინეიროში" დაჰყოფს. გასულ თვეს, ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს, შეცვლაზე შესული სანტუში 17 წამში გააძევეს, რაც ჰოლანდიის ჩემპიონატის რეკორდია.

**პოლონეთის ნაკრების მცველი პაველ ვოიტალა ორი კვირით ივარჯიშებს „გლაზგო რეინჯერსთან" ერთად, შემდეგ, შესაძლოა, ამ კლუბის მაისურიც კი მოირგოს. მოთამაშის ახლანდელმა კლუბმა „ლეხმა" განაცხადა, რომ თუ შოტლანდიელებს ვოიტალას შესყიდვა სურთ, 1,5 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადონ.**

გერმანელმა შტეფან ფროინდმა მუხლის მეორე ოპერაცია გაიკეთა. სამი კვირის წინ იგი დაშავდა, დაშავებულ მუხლს დროზე არ მიხედა და ახლა გაუმიზეზდა. ფეხბურთელმა თქვა, რომ ეს ტრავმა მისი კარიერისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. „ექიმები, ფსიქოთერაპევტები და ჩემი ოჯახი მეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად იქნება. არ მინდა იმის დაჯერება, რომ ფეხბურთს ველარ ვითამაშებ". — განაცხადა ფროინდმა.

**ჰოლანდიელი რობერტ მოლინაარი, „ვოლენდამის" მცველი, ინგლისის პრემიერლიგის გუნდ „ლიდსში" გადავიდა. კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულმა მოლინაარმა ინგლისურ მხარესთან სამწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

შვედ ფორვარდ კენეტ ანდერსონს იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში რომ უსიამოვნება მოუვიდა მსაჯთან, წინა „სარბიელში" ვწერდით. მომხდარმა ფეხბურთელს იტალიის დატოვება გადააწყვეტინა. ანდერსონის აგენტის ვინჩენცო მარიძიტოს განცხადებით, შვედი შესაძლოა პრემიერლიგაში გადაიყიდეს. „ბოლონიაში" ანდერსონი სეზონის დასაწყისში მივიდა სერია B-ში გავარდნილი „ბარიდან".

**იტალიის ნაკრებისა და „მილანის" მცველი კრისტიან პანუჩი, შესაძლოა, მადრიდის „რეალში" გადავიდეს. მართალია, მას კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ მის ტრანსფერზე ოროვე მხარე შეთანხმებულია. პანუჩი „მილანში" 1993 წელს გადავიდა „ჯენოადან" 6,5 მილიონ დოლარად, „რეალში" კი 5,2 მილიონ დოლარად გაიყიდება. იგი პირველ თამაშს „ატლეტიკოსთან" ჩაატარებს.**

ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი, ვინაც „შტუტგარტში" თამაშობს, უახლეს მომავალში მიუნხენის „ბაიერნში" ითამაშებს. „კიკერის" ცნობით, შესაძლო კონტრაქტი ოთხწლიანია. „ყველამ იცის, რომ „ბაიერნს" მე ვუნდივარ. „ბაიერნის" გარდა, წინადადებები იტალიური და ესპანური კლუბებიდანაც მქონდა" — განაცხადა ელბერმა.

**გერმანიის „კარლსრუემ" ერთი მოთამაშე დაიბრუნა და ერთიც მოისაკლისა. ტრავმის გამო ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა თომას ჰესლერი, რუს სერგეი კირიაკოვს კი ბრმანაწლავის ოპერაცია გაუკეთდა და მარტამდე ვერ ითამაშებს.**

ინგლისის „უიმბლდონის" მოთამაშე დინ ჰოლდსუორსი ერთი კვირით გამოაკლდა კლუბს. პოლიციამ იგი მაშინ დააკავა, როცა მეუღლის მანქანაში ორ არასრულწლოვანთან სექსით ერთობოდა. პოლიციას იგი, სადაც ჯერ არს, არ მიუბრძანებია, ჰოლდსუორსი სახლში მიიყვანეს და იქ ყველაფერი დააფქვევინეს. ცოლმა რომ მეუღლის ცუღლუტობანი შეიტყო, სასამართლოში შეიტანა სარჩელი და განქორწინება მოითხოვა. თავზარდაცემული ჰოლდსუორსი „უიმბლდონის" მწვრთნელს ჯო კინარს ესაუბრა და ერთკვირიანი შვებულება დასტყუა.

**ურუგვაის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიდიე ოპერტიმ ბრძანა, რომ ურუგვაი — არგენტინას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე უსაფრთხოების მიზნით სახეშეღებილი გულშემატკივრები არ დაიშვებიან. „ჩვენ მწარე გამოცდილება გვაქვს და აღარ გვსურს წარსულის შეცდომების გამეორება. ასე უფრო მშვიდად ვიქნებით" — განაცხადა ოპერტიმ. მისივე თქმით, ბოლო კვირას ურუგვაიში 61 ათასი არგენტინელი ჩავიდა, უმრავლესობა — ტურისტი. სტადიონზე საგანგებოდ გამოუყოფენ ადგილს 6 ათას არგენტინელს. 1992 წლის 0:0 დამთავრებული მატჩის შემდეგ მეტოქეები ერთმანეთს არ შეხვედრიან.**

რუმინელი ილიე დუმიტრესკუ ლონდონის „ვესტ ჰემიდან" მექსიკის „ამერიკაში" გადავიდა. დუმიტრესკუს შესყიდვა მექსიკელებს მილიონი გირვანქა დაუჯდათ. „ილიეს მექსიკაში გადასვლის საბოლოო დეტალები უახლოეს მომავალში დადგინდება. იგი მექსიკის საუკეთესო კლუბში გადავიდა. წარმატებებს ვუსურვებთ" — განაცხადა „ვესტ ჰემის" დირექტორმა პიტერ სტორიმ.

**შოტლანდიის პირველობაზე გამართა ერთი მატჩი: „სელტიკმა" მოუგო „კილმარნოკს" — 6:0.**

ინგლისში, ლიგის თასის მეოთხედფინალში „ბოლტონმა" წააგო „უიმბლდონთან" — 0:2, „მიდლსბრომ" მოუგო „ლივერპულს" 2:1.

**ესპანეთში გაიმართა თასის გათამაშების მესამე ეტაპის შეხვედრები: რეალი — ვალიადოლიდი 2:1, გრენადა — ბეტისი 0:1, ვილარეალი — ბილბაო 0:1, ოსასუნა — რაიო ვალეკანო 3:2, სელტა — ლოგრონიესი 2:0, ოვიედო — კომპოსტელა 1:0, სარაგოსა — რასინგი 1:1, ესპანიოლი — სპორტინგი 4:1, სევილი — დეპორტივო 2:0.**

გერმანელი მიხაელ ფრონცეკი, „მანჩესტერ სიტიში" რომ თამაშობდა, სამშობლოში დაბრუნდა და აწი „ფრაიბურგში" გამოვა.

# წასვლა-წამოსვლა ესპანურად

ორშაბათს ესპანურ გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" 38 მილიონ დოლარს სთავაზობენ მადრიდის „რეალს" დავორ შუკერსა და პრედრაგ მიატოვიჩში. ამ ბრიტანული კლუბების წარმომადგენლები ჩავიდნენ მადრიდში და „რეალის" ხელმძღვანელებთან გასაუბრების შემდეგ შეხვდნენ თავად შუკერსა და მიატოვიჩს, რომელთაც ერთად 22 გოლი გაიტანეს ჩემპიონატში. ფაბიო კაპელომ ამის თაობაზე ეს თქვა: „რეალის" ფეხბურთელები ყველას სურს, რაც არაა გასაკვირი. მათ შორის გამოირჩევიან ინგლისური კლუბები, დღესდღეობით ყველაზე ბევრი ფული სწორედ მათ აქვთ." კაპელომ ასევე განაცხადა, რომ კიდევ ერთი ბალკანელი, დეიან პეტკოვიჩი „რეალში" ვერ ითამაშებს, რადგან მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და შესაძლოა იგი „მონაკოში" გაუშვან. გავიდა ორი დღე და... „იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ აღარ სურთ შუკერისა და მიატოვიჩის ყიდვა, თუმცა დაინტერესებულნი არიან იეროს გადმოყვანით: „იგი ისეთი ყაიდის მოთამაშეა, როგორიც ინგლისურ ფეხბურთს შეეფერება. იერო მინდორზე შეუდარებელია. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ „რეალს" მისი გაყიდვა არ სურს." ამასობაში კი „მიდლსბრომ" „ბარსელონას" მიმართა ნადალის შესყიდვის თაობაზე, თუმცა ესპანელებმა ისიც უარით გაისტუმრეს. „სევილია", შესაძლოა, დატოვოს ბებეტომ და ყოფილ კლუბ „დეპორტივოს" დაუბრუნდეს. ბებეტომ უარყო ხმები, თითქოს იგი უკმაყოფილოა სევილიაში ყოფნით, თუმცა ისაც თქვა, რომ მომავალზე ფიქრობს: „სევილიას" ეკონომიური პრობლემები აწუხებს. მე სამი შვილი მყავს, ოჯახი ჩემს კისერზეა."

# ახალი წლის პირველი სენსაცია



ახალი წლის პირველი დიდი საფეხბურთო სენსაცია „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელის კევინ კიგანის გადადგომა გახლავთ. მსოფლიოს უმდიდრესი ლიგის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის მწვრთნელის თანამდებობიდან წასვლა, მაშინ როდესაც გუნდს უსაშველო არაფერი სჭირს, გულშემატკივრებისთვის თავზე აგურის დაცემას ჰგავდა. თან „ნიუკასლმა" პრემიერლიგის ბოლო ორ მატჩში 7:1 და 3:0 მოიგო, უეფას თასზე კი მეოთხედფინალშია გასული. კიგანი გულშემატკივრებს უყვარდათ. „სენტ ჯეიმს პარკზე" ამ დღეებში საოცარი ამბები ხდება — გულშემატკივრები მოთქვამენ. ისიც კი დაიწერა, ასე ინგლისის დედოფლის სიკვდილი არ ეწყინებოდათო. მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები ამ ამბის შესახებ იმდენ ნაი-ნაირ ცნობას ავრცელებენ, რომ ყველა მათგანის მოყვანა „სარბიელის" დღევანდელ ნომერს გაავსებდა. ინგლისური გაზეთები აანალიზებენ კიგანის მოღვაწეობას „ნიუკასლში", კრიტიკოსები უწუნებენ დაცვას და ზოგად სტრატეგიას. ზოგად სტრატეგიაში ყურადღების ვარსკვლავებზე გამახვილებას გულისხმობენ. წერენ, რომ სხვა დიდი კლუბების მწვრთნელებმა ახალი თაობების აღზრდას მიაქციეს ყურადღება, კიგანმა კი მთელი ფული ცნობილი ფეხბურთელების შეძენას მოახმარა. თუ შირერს, ჟინოლას, ასპრილიას და სხვა კაშკაშა მოთამაშეებს შევუძენთ, არანაკლებ წარმატებებს შესაძლოა რიგითმა ადამიანებმაც მიაღწიონო. ეს ცხადია გადაჭარბებითაა ნათქვამი. ამგვარი წერილების გარდა სახოტბოც უამრავია, უფრო სწორედ, გაცილებით სჭარბობს.

### კიგანის ბიოგრაფია

1951 — 14 თებერვალს დაიბადა არმთორპში, იორკი.
1968 — „სკართროპ იუნაიტედში" მიიღეს.
1971 — 35 000 გირვანქად იყიდა „ლივერპულმა".
1972 — დებიუტი ჰქონდა ნაკრებში, კარდიფში უელსის წინააღმდეგ.
1977 — 500 000 გირვანქად გადავიდა „ჰამბურგში"
1980 — 420 000 გირვანქად გადავიდა „საუთჰემპტონში".
1982 — უკანასკნელად ითამაშა ნაკრებში, მადრიდში ესპანეთის წინააღმდეგ (მსოფლიოს ჩემპიონატზე); სულ ნაკრებში ჩაატარა 63 შეხვედრა, გაიტანა 21 გოლი.
1982 — 100 000 გირვანქად გადავიდა „ნიუკასლში".
1984 — ფეხბურთელის პროფესიას თავი დაანება.
1992 — თებერვალში დაუბრუნდა ფეხბურთს „ნიუკასლის" მწვრთნელად. სამი თვის შემდეგ კონტრაქტს მოაწერა ხელი.
1993 — „ნიუკასლი" პრემიერლიგაში გადაიყვანა.
1994 — დანიშნეს საფეხბურთო დირექტორად და 10 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.
1996 — „ნიუკასლი" მეორე ადგილზე გაიყვანა.
1997 — გადადგა.

### ტიტულები

ინგლისის ჩემპიონი: 1972-73, 1975-76, 1976-77
თასის მფლობელი: 1974
ჩემპიონთა თასის მფლობელი: 1977
უეფას თასის მფლობელი: 1973, 1976
ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი: 1978, 1979
ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი: 1982
სეზონის საუკეთესო მწვრთნელი: 1992-93 (I დივიზიონი)

### ნიუკასლში

1992 თებერვალში: ოსვალდო არდილესი მიდის და კევინ კიგანი ინიშნება კლუბის ომის შემდგომი პერიოდის მე-15 მწვრთნელად.

1992 მარტი: „სვინდონთან" 3:1 მოგების შემდეგ ფეხბურთელების საყიდელი ფულის მოთხოვნით აწყობს სკანდალს და გუნდიდან მიდის. მალევე ბრუნდება.

1992 მაისი: გუნდი პირველ დივიზიონში მე-20 ადგილზე გადის და გავარდნისაგან თავს იხსნის. კიგანი თვლის, რომ თავისი საქმე შეასრულა და თანამდებობიდან მიდის, მაგრამ მალევე ბრუნდება, რადგან 3 წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს.

1992 აგვისტო: ახალი სეზონის პირველ თერთმეტ შეხვედრას გამარჯვებით ასრულებს.

1993 აგვისტო: სეზონი დამთავრდა. „ნიუკასლი" 8 ქულით უსწრებს „ვესტ ჰემს" და პრემიერლიგაში გადადის.

1993 აგვისტო: „უიმბლდონთან" თამაშის წინ ბაზიდან გაპარვისთვის სჯის ენდი კოულს, „საუთჰემპტონთან" შეხვედრის დროს კი აუტის ხაზთან ხელს ართმევს ლი კლარკს, რომელიც უკმაყოფილოა, რომ შეცვალეს.

1994 თებერვალი: თასის თამაშში „ლუთონთან" დამარცხების შემდეგ ღვინის ბარში წასვლისთვის სჯის სამ ფეხბურთელს. ბერი ვენისონს კაპიტნობასართმევს, ხოლო მას მერე, რაც მეკარე მაიკ ჰუპერი გულშემატკივრისგან მუქარის ბარათს იღებს, გუნდიდან წასვლით იმუქრება.

1994 მაისი: გუნდი მესამე ადგილზე გაჰყავს და უეფას თასის საგზურსაც იგებს. კიგანი ხელს აწერს ათწლიან კონტრაქტს, ათ მილიონ დოლარად.

1994 ოქტომბერი: თერთმეტი წაუგებელი თამაშის შემდეგ მარცხდება „მანჩესტერ იუნაიტედთან" და ცხრილის სათავეში ადგილს ჰკარგავს. მას მერე ლიდერი აღარ ყოფილა.

1995 მაისი: გადის მეექვსე ადგილზე და უეფას თასის მიღმა რჩება.

1996 აპრილი: „ნიუკასლის" „ლიდსთან" გამარჯვების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი კიგანისთვის უსიამოვნო კომენტარს აკეთებს, რასაც იგი ლანძღვით პასუხობს.

1996 მაისი: „ნიუკასლი" მეორე ადგილზე გადის.

1996 ივლისი: ამყარებს ფეხბურთელის ყიდვაში მსოფლიო რეკორდს — შირერში 15 მილიონ გირვანქას იხდის.

1997 იანვარი: თანამდებობიდან მიდის.

### ყველაზე ძვირად ნაყიდი ფეხბურთელები

1992: რობერტ ლი — 700 ათასი; 1993: ენდი კოული — 1.75 მილიონი; 1994: დარენ პიკოკი — 2 მილიონი; 1995: ლეს ფერდინანდი — 6 მილიონი; 1996: ალან შირერი — 15 მილიონი.

სულ დახარჯა 60 მილიონ 645 ათასი.

### ყველაზე ძვირად გაყიდული ფეხბურთელები

1992: მიკ ქუინი — 250 ათასი; 1993: გევინ პიკოკი — 1.25 მილიონი; 1994: კევინ სკოტი — 850 ათასი; 1995: რუულ ფოქსი — 4.2 მილიონი; 1996: დარენ ჰაკბერი — 1 მილიონი.

### „ნიუკასლის" სავარაუდო ახალი მწვრთნელები

კენი დალგლიში — 45 წლის. კონსულტანტი „გლაზგო რეინჯერსში".
ჯონ ტოშაკი — 47 წლის. „დეპორტივო ლა კორუნიას" მწვრთნელი.
იოჰან კრუიფი — 49 წლის. უმუშევარი.
ტერი მაკდერმოტი — 44 წლის. „ნიუკასლის" დროებითი მწვრთნელი.
როი ჰოჯსონი — 49 წლის. „ინტერის" მწვრთნელი.
ბობი რობსონი — 63 წლის. „ბარსელონას" მწვრთნელი.
კრის უოდლი — 36 წლის. „ბრედფორდის" ფეხბურთელი.
ჰოვარდ კენდალი — 50 წლის. „შეფილდ იუნაიტედის" მწვრთნელი.
არტურ კოქსი — 57 წლის. „ნიუკასლის" ასისტენტი მწვრთნელი.
ბრუს რიოქი — 49 წლის. „ქუინზ პარკის" ასისტენტი მწვრთნელი.
დენი უილსონი — 37 წლის. „ბარნსლის" მწვრთნელი.
ბრაიან ლიტლი — 43 წლის. „ასტონ ვილას" მწვრთნელი.




## ეგებ კევინმა უთხრა საკუთარ თავს

რის გამო ვილაპარაკოთ? რა მოგითხროთ ამ გაქანებული ქეიფების შემდეგ?

მოდით, ვთქვათ, კაცის მოსვლასა და წასვლაზე — ახალი წლის ყველაზე მეტად ხმაურიან ამბავზე.

ევროპაშიც გვარიანად მოულხინეს ამ უქმეებზე. პრინციპში, იქ მოულხინეს, თუ მოულხინეს. ფეხბურთელებს ლამის ლიპები დაედოთ. გერმანელებმა თითქოს სამუდამოდ შეწყვიტეს თამაში. ევროპის საშუალო გუნდები თბილ კუნძულებზე გაიკრიფნენ უჯიგრო ტურნირების სათამაშოდ. იტალიელებმა და ესპანელებმა მხოლოდ გასულ კვირას განაახლეს ჭიდილი.

აზირებული ინგლისელები კი, ტრადიციულად, პირიქით მოიქცნენ — ათ დღეში ოთხი ტური და ერთი სათასო რაუნდი გაითამაშეს. თუმცა, მოყინულ მინდვრებს ვერაფერი მოუხერხეს და ცხრილი ისე აერიათ, რომ თვით გრემ კელიც ვერ დაალაგებს გაზაფხულამდე.

საშობაო პრემიერლიგაში მოულოდნელობები მრავლად იყო, მაგრამ მთავარი საფეხბურთო ამბავი მაინც მოედნის გარეთ, ოფისში მოხდა.

ორი დღის წინათ მსოფლიოს სპორტული ტელეარხები განუწყვეტლივ იმეორებდნენ ოთხწუთიან სიუჟეტს. ეკრანზე ჩანდა შავ-თეთრ სპორტულ ქურთუკში გამოხვეული დაბალი კაცი, მოწყენილი თვალებით.

დიახ, კევინ კიგანი წავიდა ტინსაიდელთა გუნდიდან. დაბნეული ფილიპ ალბერი ისე ბლუკუნებდა კამერების წინ, რომ მგონი, ვერაკაცმა ვერ გაიგო მისი ნალაპარაკევი. ბელგიელი ფეხბურთელი რომ ნწუხდა, მისი გამომეტყველებით თუ მიხვდებოდი. ტრიბუნებზე შეკრებილი ფანები გულისმომკვლელად ვიშვიშებდნენ და პლაკატებით შეხთხოვდნენ კევინს, გევედრებით, ნუ წახვალო.

მაგრამ ჰა, წილი ნაყარია.

კევინ კიგანი, წარსულის დიდი ფეხბურთელი ის კაცი იყო, ოდესღაც, ერკიულ პუაროს დროში გაჩემპიონებულ „ნიუკასლ იუნაიტედს" იმედი რომ დაუბრუნა. ნიუკასლამდე კიგანი არ ყოფილა მენეჯერი, თუ არ ჩავთვლით მოთამაშე მწვრთნელობის ხანმოკლე ეტაპს სამხრეთ ინგლისის ქალაქებში. ნიუკასლში მოსული კი მალევე მოექცა ყურადღების ცენტრში — გუნდი ამოსწია და მადა გაუჩინა. ბოლო ორ წელიწადში კიგანი ღიად აცხადებდა, რომ ლიგის ჩემპიონობა უნდა მოეგო.

ამის საფუძველი არსებობდა — „ნიუკასლის" მეპატრონე სერ ჯონ ჰოლი არაფერზე ამბობდა უარს.

„ნიუკასლი" ვერ გახდა ჩემპიონი. წელს კი, კვლავ საჩემპიონოდ განწყობილი, კვლავ ჩამოვარდა იშკილებიდან.

რატომ წავიდა კიგანი?

მან შექმნა ღია, შემტევი გუნდი. მას ჰყავს უძლიერესი თავდამსხმელები, ჰყავს საუცხოო ჟინოლა და საერთოდ, ყოველი ფეხბურთელი „ნიუკასლში" პიროვნებაა. კიგანს არაფერზე ეუბნებიან უარს, არც კლუბი, არც ფანები. მთელი ქალაქი აღმერთებს და იმედოვნებს, რომ 70 წლის თავზე გუნდი ტიტულს დაიბრუნებს...

და კიგანი მიდის, შუა სეზონში.

აზირებები ყველა მწვრთნელსა აქვს — მათ შორის კიგანსაც. შარშან კევინი შუა სეზონში შეელია ენდი კოულს, რომელიც მთავარ კონკურენტს, ალექს ფერგიუსონს მიჰყიდა. ალბათ, ეს აზირებაა — კიგანმა დაარწმუნა ფანები, რომ კოულის გარეშეც მოიგებდა ტიტულს.

მაგრამ მხოლოდ აზირებით გადადგომას ვერ ახსნი.

ინგლისურ ფეხბურთში დღეს სხვა დროა. მწვრთნელობაც კი დიდი რეფორმაციის წინაშე დგას. ჰოდლი, ვენგერი და გულიტი ის ხალხია, ინგლისური თამაშის ახალი ფერებით გამდიდრებას რომ ესწრაფვიან. ეგებ კიგანმა დაინახა, რომ თვითონ ამ ხალხს შორის არ არის? ეგებ კიგანმა დაინახა, რომ მისი ნიუკასლი კარგი გუნდია და ვარსკვლავთა სიჭარბის მიუხედავად ყოველთვის ასეთი იქნება?

კარგი გუნდი! ჰმ! კევინ კიგანი და კარგი გუნდი. განა ეს საკმარისია?

ეგებ კევინმა უთხრა საკუთარ თავს: „მე ასე ვხედავ ფეხბურთს. უფრო უკეთესს, უფრო დიდს, უფრო ღრმასა და ლამაზს მე ვერ გავაკეთებ. არადა, ამის გაკეთება აუცილებელია".

და, წავიდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

## ახალ წელს – ახალი კოეფიციენტებით!

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტური

11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ნიუკასლი | 2,2 | 2,6 | 2,7 |
| ბლექბერნი — ქოვენთრი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ლიდსი — ლესტერი | 1,4 | 3,1 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| მიდლსბრო — საუთჰემპტონი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| ნოტინგემი — ჩელსი | 2,8 | 2,7 | 2,1 |
| შეფილდ უენსდეი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| სანდერლენდი — არსენალი | 4,2 | 3,0 | 1,6 |
| უიმბლდონი — დერბი ქაუნთი | 1,4 | 3,1 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,2 | 2,6 | 2,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXVIII ტური

11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — ოქსფორდი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| გრიმსბი — პორტ ვეილი | 2,1 | 2,7 | 2,8 |
| ვულვერჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი | 1,35 | 3,4 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| იფსვიჩი — შეფილდ იუნაიტედი | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| მანჩესტერ სიტი — კრისტალ პალასი | 2,2 | 2,6 | 2,7 |
| ოლდემი — ჰადერსფილდი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| პორტსმუთი — ბოლტონი | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| ქუინზ პარკი — ბარნსლი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| რედინგი — ჩარლტონი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| საუთენდი — ნორვიჩი | 2,3 | 2,5 | 2,6 |
| სტოკ სიტი — ბირმინგემი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| ტრანმერი — სვინდონი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### შოტლანდია. XXIII ტური

11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ჰართსი — სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,35 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| კილმარნოკი — რეით როვერსი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| მოზერველი — ჰიბერნიანი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| 12 იანვარი | | | |
| რეინჯერსი — აბერდინი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |

### იტალია. სერია A. XVI ტური

12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — პარმა | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| იუვენტუსი — ატალანტა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| მილანი — ვიჩენცა | 1,45 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ნაპოლი — ინტერი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| პიაჩენცა — უდინეზე | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| რეჯანა — ფიორენტინა | 3,4 | 2,8 | 1,8 |
| რომა — პერუჯა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| სამპდორია — კალიარი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ვერონა — ლაციო | 2,5 | 2,4 | 2,5 |

### იტალია. სერია B. XVII ტური

12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — სალერნიტანა | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| ემპოლი — ჯენოა | 1,8 | 2,7 | 3,6 |
| ფოჯა — ბრეშია | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| ლეჩე — პესკარა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ლუკეზე — ტორინო | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| პალერმო — კოზენცა | 1,5 | 2,8 | 5,6 |
| პადოვა — ბარი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| რავენა — ჩეზენა | 1,5 | 2,8 | 5,6 |
| რეჯინა — კრემონეზე | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| ვენეცია — კიევო | 1,7 | 2,8 | 4,0 |

### პორტუგალია. XV ტური

11 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — პორტუ | 1,9 | 2,6 | 3,3 |
| ბრაგა — ლეცა | 1,35 | 3,2 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ჟილ ვისენტე — მარიტიმუ | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| სეტუბალი — რიუ ავე | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლეირია — ფარენსე | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| შავეში — ესპინიუ | 2,2 | 2,5 | 2,8 |
| სალგეირუში — ბოავიშტა | 3,2 | 2,7 | 1,9 |
| ბელენენსეში — გიმარაეში | 1,8 | 2,7 | 3,6 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურუგვაი — არგენტინა | 2,1 | 2,5 | 3,0 |
| პერუ — ჩილე | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ვენესუელა — პარაგვაი | 5,6 | 3,4 | 1,35 |
| ბოლივია — ეკვადორი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.**

**თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;**

**ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.**

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# «ტამპამ» გაიელვა

**8 იანვარი.** რეინჯერზი — ტამპა 3:4, ნიუ ჯერზი — კოლორადო 1:1, ჩიკაგო — ედმონტონი 4:1, დალასი — დეტროიტი 6:3, ანაჰაიმი — ფლორიდა 3:2.

**9 იანვარი.** ბოსტონი — მონრეალი 5:4, ოტავა — კოლორადო 0:2, ფილადელფია — ტამპა 1:3, ვაშინგტონი — რეინჯერზი 2:0, ფინიქსი — დეტროიტი 4:5, კალგარი — ჰართფორდი 3:2, სან ხოსე — სენტ ლუისი 3:4, ლოს ანჯელესი — ბუფალო 6:3.

ტამპა ატლანტიკის აუტსაიდერია, მაგრამ ბოლო ორ მატჩში მაჩანჩალა კი არა, ელვა უფრო ეთქმოდა, რაკი მედივიზიონე რეინჯერზსა და ფილადელფიას გაუსწორდა. ფილადელფიას მანამდე 17 შეხვედრა არ წაეგო. ნიუ-იორკში, მას შემდეგ, რაც მესიემ (24) უმცირესობაში ანგარიში ორამდე გაზარდა, ტამპელები დიდი მონდომებით ათამაშდნენ და ბოლო პერიოდის დასაწყისში ჯერ გაათანაბრეს, შემდეგ კი პულინმა (8) გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. ფილადელფიასთან პულინმა ამას ორი შაიბაც დაუმატა, გუნდს ზედიზედ მესამე გამარჯვება მოუტანა და იმედებიც ჩაუსახა. ფილადელფიის უხეირობას მისი კაპიტნის — ლინდროსის უქულობაც დაერთო, რომელმაც მანამდე 17 შეხვედრაში 28 (13+15) ქულა დააგროვა.

განაწყენებული რეინჯერზი ვერც ვაშინგტონს შეებრძოლა და პირველად სეზონში უგოლოდ დატოვა მოედანი. ეს, უდაოდ, გოლკიპერ კოლციგის (25 მოგერიება) დიდი დამსახურება იყო. მისმა პარტნიორმა ბონდრამ კი თავისი 24-ე გოლი გაიტანა.

შვიდი წაუგებელი, მათ შორის ოთხი მოგებული, მატჩის შემდეგ, შეფერხდა მონრეალი, თუმცაღა, ლიდერების — რექის (2+0, 18) და დამფუსის (0+2) ძალისხმევით 58-ე წუთამდე ფრეს ინარჩუნებდა. მაგრამ მონრეალს ხელი შეუშალა ბურკმა, რომელმაც ზუსტი პასით შტუმპელი (1+1, 12) მოძებნა. ბურკი ტრავმის მერე ჩვეულ ფორმას იბრუნებს.

ფილადელფიის უილბლობით ისარგებლა კოლორადომ, ვინაც დასავლეთში საუკეთესოა. „ეველანშმა" 2 თამაშში 3 ქულა დააგროვა, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ჯერ ნიუ ჯერზის „ხაფანგისგან" დაიხსნა თავი — კორბემ 47-ე წუთზე გაათანაბრა, მეორე დღეს კი დიდმარშის (1+1, 16) და გოლკიპერ რუას (33 მოგერიება) წყალობით კვლავ დაიბრუნა ერთპიროვნული ლიდერობა. რუამ მე-6 მშრალი მატჩი ჩაატარა.

ყველაზე დიდი ყურადღება ცენტრის ლიდერების — დალასის და დეტროიტის პაექრობამ მიიპყრო. ბოლო ხანს არც ერთი კლუბი თამაშობს სტაბილურად და არც მეორე, მაგრამ ამჯერად უპირატესობა დალასის მხარეს იყო. დალასელმა რეიდმა კარიერაში მეორე ჰეთ-თრიქი გააკეთა, ლიგის კიდევ ერთმა „ბებერმა", ყოფილმა კოლორადოელმა ბასენმა კი სეზონში პირველი გოლი გაიტანა.

დალასთან შეხვედრის შემდეგ დეტროიტმა დაძაბულ ბრძოლაში ფინიქსს ორი ქულა გამოგლიჯა. გადამწყვეტი შაიბა ოვერტაიმის 58-ე წამზე რუსების ლეგენდარული პირველი ხუთეულის ცენტრმა — ლარიონოვმა (1+2, 6) შეაგდო. მისი განთქმული პარტნიორის, 38 წლის ფეტისოვის ღვაწლი კი იმით დაფასდა, რომ იგი დასავლეთის „ოლ სტარის" შემადგენლობას დაემატა.

იმარჯვეს წყნარი ოკეანის სანაპიროს გუნდებმა. კალგარიმ და ანაჰაიმმა ჰართფორდს და ფლორიდას მოუგეს. ანაჰაიმმა პირველივე პერიოდში მოიპოვა სამშაიბიანი უპირატესობა, რასაც სელიანე-რუჩინიკარიას წამყვან სამეულს უნდა უმადლოდეს. კარიამ (0+2) ბოლო 21 თამაშიდან მხოლოდ სამში ვერ გამოიჩინა თავი. კალგარის კი გამარჯვება ახალბედა მაკტავიშმა და აიჯინლამ (14) მოუტანეს. მაკტავიშმა ნჰლ-ში პირადი ანგარიშიც გახსნა.

ლოს ანჯელესს არ გასჭირვებია აგრესიული ბუფალოს წინააღმდეგობის დაძლევა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. გუნდის ლიდერმა ხრისტიჩმა (2+2, 11) თავის მუდმივ პარტნიორ ციპლაკოვთან (0+3) ერთად 4 შაიბა მოაწყო.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია სენტ ლუისის გამარჯვება, რადგან ეს ახალი მწვრთნელის — კენევილის პირველი წარმატებაა. რობერტსი, ვინაც დროებით კინენი შეცვალა, კენევილმა კვლავ ასისტენტად გადაიყვანა. სან ხოსეში გადამწყვეტი გოლი ტარჯონმა (7) გაიტანა დამთავრებამდე 26 წამით ადრე.

**სამველ ლარიბიანი**

### ევროლიგა

ევროლიგაში მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ფავორიტებმა — ფინეთის ჩემპიონმა „იოკერიტმა" და ვიცე-ჩემპიონმა ტპს-მ დამაჯერებლად ითამაშეს. „იოკერიტმა" გეტებორგში იქაურ „ფრელუნდას" სასურველი ფრე გამოგლიჯა — 1:1.

ტპს ჩეხეთის „ლიტვინოვთან" მთელი შეხვედრის განმავლობაში იცავდა თავს და წარმატებას კონტრშეტევებისას შეგდებული შაიბებით მიაღწია. ორივე შაიბა ირნტანენმა მიითვალა. სკანდინაველებს არ უნდა გაუჭირდეთ ნახევარფინალში გასვლა.

კენჭისყრამ ორი ჩეხური კლუბი დააწყვილა. „ჩესკეს" და „სპარტას" ორთაბრძოლაში წინ მასპინძლები იყვნენ — დიორიმ და ბელოჰლავმა ზელენკას შაიბას უპასუხეს, მაგრამ ბოლო წუთებზე „სპარტა" რუსმა პოტაიჩუკმა იხსნა მარცხისგან — 2:2.

მეოთხე მატჩში ყველაფერი მოსკოვის „დინამოს" სასარგებლოდ გადაწყდა. მან სტუმრად შანსი არ დაუტოვა სლოვაკეთის „სლოვანს", რომელმაც პირველ ეტაპზე რუსეთის ცსკა გამოთიშა გათამაშებისგან. დინამოელებმა 5:1 მოიგეს, თუმცა კი ძირითადი შემადგენლობას რვა კაცი აკლდათ.

საპასუხო მატჩები 14 იანვარს გაიმართება.

## კალათბურთი

### ევროპის თასი. II ეტაპი

მე-11 ტური. 8-9 იანვარი

#### E ჯგუფი

შარლერუა (ბელგია) — სტეფანელი (იტალია) 68:71, ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ცსკა (რუსეთი) 82:51, ალბა (გერმანია) — მაკაბი (ისრაელი) 70:65

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტეფანელი | 11 | 8 | 3 | 19 |
| ალბა | 11 | 7 | 4 | 18 |
| ცსკა | 11 | 6 | 5 | 17 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 6 | 5 | 17 |
| მაკაბი | 11 | 6 | 5 | 17 |
| შარლერუა | 11 | 0 | 11 | 11 |

#### F ჯგუფი

პანიონიოსი (საბერძნეთი) — ტიმსისტემი (იტალია) 72:88, ლიმოჟი (საფრანგეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 91:85, ულქერი (თურქეთი) — ციბონა (ხორვატია) 73:77

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტიმსისტემი | 11 | 8 | 3 | 19 |
| ციბონა | 11 | 7 | 4 | 18 |
| ესტუდიანტესი | 11 | 6 | 5 | 17 |
| ლიმოჟი | 11 | 5 | 6 | 16 |
| ულქერი | 11 | 4 | 7 | 15 |
| პანიონიოსი | 11 | 3 | 8 | 14 |

#### G ჯგუფი

დინამო (რუსეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 88:81, კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ოლიმპია (სლოვენია) 81:76, ელან ბერნე (საფრანგეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი) 95:97

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 11 | 8 | 3 | 19 |
| ვილერბანი | 11 | 8 | 3 | 19 |
| ოლიმპია | 11 | 7 | 4 | 18 |
| კსფ | 11 | 5 | 6 | 16 |
| ელან ბერნე | 11 | 5 | 6 | 16 |
| დინამო | 11 | 3 | 8 | 14 |

#### H ჯგუფი

ბაიერი (გერმანია) — ეფეს პილსენი (თურქეთი) 72:73, კროაცია (ხორვატია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 76:75, ბარსელონა (ესპანეთი) — კინდერი (იტალია) 73:72

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეფესი | 11 | 9 | 2 | 20 |
| პარტიზანი | 11 | 6 | 5 | 17 |
| კინდერი | 11 | 5 | 6 | 16 |
| ბარსელონა | 11 | 5 | 6 | 16 |
| კროაცია | 11 | 5 | 6 | 16 |
| ბაიერი | 11 | 0 | 11 | 11 |

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

8 იანვარი

**ბოსტონ სელტიქსი — სან ანტონიო სფურზი 107:83, ჰიუსტონ როკიტსი — კლივლენდ კავალიერზი 81:78, დალას მავერიქსი — ფილადელფია-76 111:93, ვაშინგტონ ბულიტსი — ფინიქს სანზი 115:113, სიეტლ სუპერსონიქსი — დენვერ ნაგითსი 109:99, მილუოკი ბაქსი — იუტა ჯაზი 119:112, მაიამი ჰითი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 85:81, ვანკუვერ გრიზლიზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 109:95, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — შარლოტ ჰორნეთსი 101:97**

9 იანვარი

**ტორონტო რეპტორზი — იუტა ჯაზი 110:96, მინესოტა ტიმბერვულვზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 110:107, ატლანტა ჰოქსი — ორლანდო მეჯიქი 97:92, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ვანკუვერ გრიზლიზი 102:86**

#### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 25 | 9 | 73,5 |
| ნიუ იორკი | 24 | 9 | 72,7 |
| ვაშინგტონი | 17 | 15 | 53,1 |
| ორლანდო | 12 | 18 | 40,0 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 22 | 29,0 |
| ბოსტონი | 8 | 23 | 25,8 |
| ფილადელფია | 8 | 25 | 24,2 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 29 | 4 | 87,9 |
| დეტროიტი | 24 | 8 | 75,0 |
| ატლანტა | 20 | 11 | 64,5 |
| კლივლენდი | 21 | 12 | 63,6 |
| შარლოტი | 18 | 15 | 54,5 |
| მილუოკი | 17 | 16 | 51,5 |
| ინდიანა | 15 | 16 | 48,4 |
| ტორონტო | 11 | 22 | 33,3 |

#### დასავლეთის კონფერენცია

| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 26 | 8 | 76,5 |
| იუტა | 23 | 11 | 67,6 |
| მინესოტა | 15 | 19 | 44,1 |
| დალასი | 11 | 20 | 35,5 |
| სან ანტონიო | 9 | 23 | 28,1 |
| დენვერი | 9 | 24 | 27,3 |
| ვანკუვერი | 7 | 28 | 20,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერზი | 26 | 10 | 72,2 |
| სიეტლი | 25 | 11 | 69,4 |
| პორტლენდი | 19 | 16 | 54,3 |
| კლიპერზი | 14 | 19 | 42,4 |
| საკრამენტო | 14 | 21 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 20 | 39,4 |
| ფინიქსი | 10 | 24 | 29,4 |

# სამჭიდელებმა სამი რეკორდი გააუმჯობესეს

ახლახან გაიმართა საქართველოს პირველობა ძალისმიერ სამჭიდში და აჭიმვაში. მონაწილეობას იღებდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც ზაფხულში მონაწილეობას მიიღებს არაოლიმპიურ სახეობათა თამაშებში.

ძალისმიერ სამჭიდში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს: 67,5 კგ წონით კატეგორიაში თემურ ვაჭარაძემ („ზევსი"), 75 კგ — გიორგი ილურიძემ („უნივერსიტეტი I"), 82,5 კგ — გიორგი მაისურაძემ („უნივერსიტეტი I"), 90 კგ — ალექსანდრე ყანდაშვილმა („უნივერსიტეტი II" — სიღნაღის ფილიალი), 100 კგ — გოგა დარჩიამ („უნივერსიტეტი I"), 110 კგ — შალვა მისკალიშვილმა („უნივერსიტეტი I"). გუნდურ პირველობაში დიდი უპირატესობით იმარჯვა „უნივერსიტეტი I"-მა.

აჭიმვაში ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: 52 კგ — არჩილ გაურაშვილი („უნივერსიტეტი II"), 56 კგ — მამუკა შენგელია („უნივერსიტეტი II"), 60 კგ — უჩა ქორიძე („გოლიათი"), 67,5 კგ — ალექსანდრე დალაქიშვილი („კასპი"), 75 კგ — მიხეილ მანუკიანი (პოლიციის აკადემია), 82,5 კგ — გიორგი მაისურაძე („უნივერსიტეტი I"), 90 კგ — დავით საჩელაშვილი (პოლიციის აკადემია), 100 კგ — გოგა დარჩია („უნივერსიტეტი I"), 110 კგ — გიორგი ჯმუხაძე („უნივერსიტეტი I"), 125 კგ — შოთა ბეჟაშვილი („უნივერსიტეტი II" — სიღნაღის ფილიალი). გუნდური პირველობა ამ სახეობაშიც „უნივერსიტეტი I"-მა მოიგო. საქართველოს რეკორდები გააუმჯობესეს: არჩილ გაურაშვილმა 4 კგ-ით, მამუკა შენგელიამ 2,5 კგ-ით და მიხეილ მანუკიანმა 4,5 კგ-ით. გიორგი მაისურაძემ და გოგა დარჩიამ ქვეყნის ჩემპიონობა ორივე სახეობაში მოიპოვეს.

ჩოგბურთი

## ლაბაძემ მაიამიში იმარჯვა

ირაკლი ლაბაძე მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით გაიმართება მექსიკაში, კოსტა-რიკაში, ვენესუელაში და კოლუმბიაში. მანამდე ირაკლიმ წარმატებით იასპარეზა ორ ტურნირში, რომლებიც ამერიკის ქალაქ მაიამიში გაიმართა. პირველში ლაბაძემ ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველობა მოიპოვა, აქვე გამართულ „ორანჯ-ბოულის" ტურნირში კი ნახევარფინალში დამარცხდა და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა.

ფეხბურთი

## ქლენტი პოლონეთშია

თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი არჩილ ქლენტი, რომელმაც შარშანდელი სეზონის ბოლოს მოსკოვის „სპარტაკში" ითამაშა, წამოვიდა რუსეთიდან და პოლონეთს მიაშურა ახალი გუნდის საძიებლად.

იყიდება
წმინდა სისხლის
კავკასიური ნაგაზის
ლეკვები
96-33-12

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ყველაზე იაფად და სწრაფად
(1 დღეში)
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)
რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39



# შენ რაღამ გადაგრია, წიქარავ?!

ხარის წელი გაცოფებული და პირზე დუჟმომდგარი შემოვარდა ევროპაში. იქით შუაგულ ბებერ სამყაროს დაატეხა არნახული ყინვები და დიდთოვლობა, აქეთ მის განაპირა ქვეყანაშიც და მთაში ზვავად დაგვეცა და ბარად წარლვნად. ხარის წელი ოკეანეს გაღმაც წყალდიდობით შევარდა, იქაც და აქაც იმსხვერპლა ხალხი. თუმცა, ხალხი კი არა, თვით მათი უდიდებულესობა ხარებიც არ დაინდო და წყალს გაატანა.

ხარი ოდითგანვე გადაჰკიდებია ევროპას. მეხთამტეხელმა ზევსმა ხარის სახე მიიღო, ევროპა მოიტაცა და საყვარლად დაისვა. მერე ევროპაშიც, რაღა თქმა უნდა, ხარი შვა-მინოსისა. ჰოდა, მგონი იქიდან იწყება ღმერთკაცებისა და ადამიანთა ბრძოლა ხარების წინააღმდეგ. გახსოვთ, როგორ ამარცხებს ჰერაკლე კრეტის ხარს, ან თეზევსი იქაურ ლაბირინთში მობინადრე მინოტავრს და მარათონის ხარსაც? ან სულაც აიეტი გავიხსენოთ, როცა ჰეფესტოსის გამოჭედილ ცეცხლისმფრქვეველ ხარებს რქებს უგრიხავს და ოთხი დღის სახნავ ხოდაბუნს უმალ ამოაბრუნებს.

მითი მითად, ჩვენს დროში კი კორიდაზე სისხლისმღვრელი, დაუნდობელი ბრძოლა გაუმართავთ ადამიანებსა და ხარებს ესპანეთში, სამხრეთ საფრანგეთში, მექსიკასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც. ყველა ამ სახელმწიფოში და პორტუგალიაშიც კორიდა გამხდარა ეროვნული სანახაობა, რასაც ძველთაგანვე უამრავი ხალხი აწყდება. ისინი „ოლე", „ოლეს" შეძახილით ამხნევებენ ტორეადორს (მატადორს, ესპადას), რომელიც ბოლოს დაშნით უსწრაფავს სიცოცხლეს „ტორო" „ტოროს" ძახილით გამოწვეულ და გამძვინვარებულ ხარს, თუ მანამდე ოთხფეხამ არ წამოიცვა უშველებელ რქებზე თავისი გამგიჟებელი ორფეხა. და რაც მეტია სისხლი, მით ენით აუწერელი ღრიანცელია ტრიბუნაზე, სადაც დიდიცა და პატარაც, ქალიცა და კაციც, წარჩინებულიცა და უჩინოც ერთ ჭკუაზე დამდგარა.

კორიდას დაბადება უხსოვარ დროში ხარის კულტთანაა დაკავშირებული. პირველი ტორეადორები იქნებ სწორედ ჰერაკლე და თეზევსი არიან, მაგრამ კორიდა უწინარეს ყოვლისა ესპანელთა მეშვეობით გავრცელდა და დაიხვეწა მეზობელ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. კორიდამ დღევანდელი სანახაობის მსგავსი სახე მიიღო XVII საუკუნეში, როცა მასში მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი სარბიელზე უკვე პროფესიონალები გამოჩნდნენ და ხარების ბრძოლა საცირკო სანახაობად გადაიქცა, თუმცა ბევრისთვის ეს სპორტული აზარტიცაა, სადაც სისხლი ყველას აგიჟებს.

ხარს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ალბათ შემოგჩივლებდა, რა გინდათ, რას მერჩით, რას მემართლებით, მე ხომ უხსოვარი დროიდან თქვენი მეგობარი ვარ და ძველ ხალხთა მითოლოგიაში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში დიდ პატივში ვიყავიო. ხარი გაიხსენებდა კონკრეტულ მაგალითებსაც, მათ შორის იმასაც, რომ მისი ერთი წინაპარი — აპისი — ძველ ეგვიპტეში მემფისის ღმერთი იყო. შეგვახსენებდა შუმერთა ოქროს ხარის თავის ქანდაკებასაც, ერთ ნახატსაც, რომელზეც ასახულია მიმრუდში უზარმაზარი ფრთოსანი ხარის ქარდაკის აღმართვის საზეიმო ცერემონიალი, სადაც საამისოდ გამართულ მთელ საინჟინრო მოწყობილობებს ვხედავთ. ამგვარი ქანდაკების არსებობა ცნობილი გახდა შუამდინარეთის არქეოლოგიური გათხრებისას.

ხარს რომ მეტყველება შეეძლოს, შეგვახსენებდა თავის დიდ სამეურნეო და საკულტო მნიშვნელობასაც ეგვიპტეში, შუმერში, ბაბილონში, მთელს ინდოეთში... შეგვახსენებდა, თუ მისი წინაპრები რა დიდ პატივში იყვნენ მითებში, სიმღერებში, მხატვრობაში, ქანდაკებაში. ხელოვნების უნიკალურ ძეგლთაგან გაიხსენებდა შავი ტალიკისაგან „გამოძერწილ" კრეტის ხარის თავს, თვალები მთის ბროლისა რომ აქვს, გუგები — წითელი ბრილიანტისა, ლაშები — მარგალიტისა, მაღალი რქები კი — მოოქროვილი ხისა.

ხარს რომ შეეძლოს, შემოგჩივლებდა ჩემი გადარეული წინაპრის, მინოტავრის ცოდვებს ყველანი ხომ არ უნდა გადაგვაყოლოთ, ჩვენც მასავით ახალგაზრდა ქალვაჟს ხომ არ ვჭამთო.

ხარს რომ ლაპარაკი შეეძლოს...

თუმცა, ვინ თქვა, არ შეუძლიაო. ინდურ, ეგვიპტურ, შუმერულ თუ ქართულ მითებსა და ფოლკლორში ხომ ადამიანთან ხარის გაიგივება და ამეტყველება ფრიად ხშირია: „ეზოში რომ ხარი ბღავის, ნეტა დედავ, რააო?" „შვილო მამაშენი არის, ვაი შენს დედასაო!" ან კიდევ — „ლაშარს მოიდა თოლიგე, დიდგულად დაჯდა ხარია". ესეც გავიხსენოთ — „ხარმა თქვა პირმა-ნათელმა: „მე დამაწერეთ თავზედა... ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა... ვინც კვირა-უქმით შეგაბას, ხელი შაახმეს მკლავზედა!"

ჩვენი ზღაპრის უპოპულარეს გმირს წიქარას უქმეზე არავინ აბავს უღელში, ინდოეთში კი დღესაც ძროხის კულტია. აი, ესპანეთში, სამხრეთ საფრანგეთში და ლათინური ამერიკის ქვეყნებში სწორედ უქმეზე და დღესასწაულებზე იმართება სისხლიანი კორიდები. ამ ქვეყნებში რომ ძალზე უყვართ სპორტი და მეტადრე ფეხბურთი, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ მათთვის სულ სხვაა კორიდა. სულ სხვა განზომილებაშია ტორეადორი. რომელიც პოპულარობით არც სპორტის ვარსკვლავს ჩამოუვარდება და არც კინოსას. იქნებ მათზე მაღლაც დგას, რადგან კორიდა იმ ხალხთა მასობრივი თავდავიწყებაა.

მეხიკოში გამართული ეგრეთწოდებული ოლიმპიური კორიდის შესახებ მოსკოველი ჟურნალისტი ალექსანდრე კუკნაძე წერდა:

„...ამფითეატრმა სუნთქვა შეიკრა. ახლა კავაზოსმა ხარს აღარ მისცა დასწრების საშუალება. ნახევრადმოხრილი მარცხენა ხელით მულეტი მოიმარჯვა, დაუმიზნა და მთელი ძალით, ალბათ რაღაც საშინელი ძალით, ზუსტად ჩასცა: მახვილი ხარის კისერში ლამის ვადამდე ჩაესო. ხარს მუხლები მოეკეცა და უსულოდ დაეხეთქა. თან აქაფებული სისხლი გადმოჩუხჩუხებდა ჭრილობიდან. კავაზოსმა კი თავის თავს სძლია და პირველ რიგში მჯდომი ქალბატონის წინაშე ქედი მოიხარა.

ამფითეატრს მოულოდნელი ძალით გადაურბინა აფეთქების ხმამ. ეს იყო ნარევი ალტაცების, სიხარულის, რაღაც საყოველთაო ველური ალტკინებისა. მაგრამ რომ ვთქვათ ეს იყო აფეთქებაო, იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ძალზე მიახლოებით გადმოგცეთ ყველაფერი, რაც ხდებოდა გიგანტურ არენაზე იმ წუთში, როცა ადამიანმა სძლია ხარს"...

მაგრამ „ბოლომდე ინტერესით კორიდას ვერცერთი უცხოელი ვერ უყურებს. ალბათ იმიტომ, რომ მას არ ესმის რაში მდგომარეობს ტორეროს უმაღლესი ხელოვნება და რა განსხვავებაა გაავთრებული ხარის შესახვედრად გადადგმულ ნაბიჯებს შორის. ჩვენთვის მოსაწყენი და გაუგებარი იყო ბანდერილიეროს თავგანწირვაცა და ცხენზე ამხედრებული პიკადორის შეშინებული თვალებიც", — წერდა ჩვენი უფროსი კოლეგა, ცნობილი ნოდარ გუგუშვილი მეხიკოში ნანახ ოლიმპიურ კორიდას შთაბეჭდილებებზე ნარკვევში "BIENVENDOSA MEXILO".

ეტყობა კორიდაზე გადარეულ ხალხს სისხლიან სანახაობაზე მართლაც მასობრივი ფსიქოზი, ველური ალტკინება ეუფლება და დარბაისელ ხალხსაც გიჟივით უელვარებს თვალები მაშინაც კი, როცა გამძვინვარებული ხარი რქებზე წამოცმულ ტორეადორს ჰაერში აბურთავებს, მიწაზე ანარცხებს, ჩლიქებით ჯგლეთავს, კვლავ თავის ბასრ რქებზე იცვამს...

და მაინც, ამ ბრძოლაში ჩვეულებრივ კაცი იმარჯვებს.

მაგრამ რა დააშავეს ხარებმა?

ეს კითხვა დიდი ხანია არ ასვენებს ხალხს, მათ შორის თავად კორიდას სამშობლოშიც და თვითონ ტორეადორებსაც. ამიტომაც იყო, რომ სახელგანთქმულმა ტორეადორებმა ესპანელმა კორდობესმა და მექსიკელმა [illegible] ლორენსომ [illegible]დოლიდის აქტით კორიდის ისტორიაში პირველად პროტესტი გამოუცხადეს ხარებთან ბრძოლის ბიზნესს, მაგრამ სისხლიანი ბრძოლები კვლავ გრძელდება. ამ მხრივ გამონაკლისია ერთადერთი ქვეყანა — პორტუგალია, სადაც ძველთაგანვე ხარებს არ კლავენ.



ხარი მიწაზე ანარცხებს მოასპარეზეს ძვ. ნახატი. სმირნა.



ჰერაკლეს ბრძოლა კრეტის ხართან ოლიმპია. ზევსის ტაძარი.

არავინ იცის ზუსტად, თუ ევროპის დასალიერში მდებარე ამ ქვეყანაში პირველად როდის გამოჩნდა კორიდა, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ იგი ტარდებოდა არანაკლებ 800 წლის წინათ, როცა იქ 1185 წლიდან მეფე დონ სანშო I ხელმწიფობდა. გვიანდელ წყაროებში უკვე დოკუმენტურად და დაწვრილებითაა აღწერილი, თუ როგორ ტარდებოდა კორიდა, ვინ იყვნენ მისი მონაწილენი, რა ეცვათ იქ მობრძანებულ დიდგვაროვან ქალბატონებსა თუ ვაჟბატონებს. მაშინ კორიდები იმართებოდა წმინდა ანტონის დღესასწაულის, სამეფო ქორწინებებისა და სხვა „ღირსსახსოვარი" მოვლენების აღსანიშნავად. კორიდებს მაშინ წინ უსწრებდა თურმე ცეკვა-თამაში, მუსიკა, სპექტაკლები...

კაცმა რომ თქვას, პორტუგალიაში კორიდა კი არა, ტოურადა ტარდება. ერთიცა და მეორეც ჩვენებურად „ხარების ბრძოლას" ნიშნავს. თუმცა, კორიდაში და ტოურადაში ერთმანეთს ხარები კი არა, ხარი და ადამიანი ებრძვის. პორტუგალიური კორიდა დანარჩენ კორიდისაგან, უწინარეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ როგორც ვთქვით, ტოურადაში ბრძოლა ხარის მოკვლით არ თავდება. ამასთან, ტოურადის მერე სარბიელზე გამოდიან ფორკადაშები, რომლებიც, როგორც წესი, მოყვარული ტორეადორები არიან.

ეს ფორკადაშები მწკრივში გამოდიან. ისინი ექვსნი არიან ერთი ხარის წინააღმდეგ. ფორკადაშებს ჰყავთ მეთაური — კაბუ. იგი მწკრივის თავში დგება და ხარს აქეზებს „ე, ტორე ბრავუ!" — მოდი, გამოქანდი, ვნახოთ, რა შეგიძლიაო. ყოველ წაქეზებაზე ეს შერეკილი კაბუ ხარს თითო ნაბიჯით უახლოვდება, თითოეულ ნაბიჯზე ხარსაც თვალები სისხლისფრად ემღვრევა, მერე თავს ხრის, ჩლიქებით მიწას თხრის, ბოლოს მთლად მძვინვარდება და თავის გამგიჟებლისკენ ფეხების ბაგუნით გარბის. როცა „დუელიანტების" დატაკებამდე მანძილი მეტრილა რჩება, მამაცი კაბუ ხარს თავადვე ახტება მკერდით ისე, რომ სხეული რქებს შორის ექცევა, ხელებს კი კისერზე ხვევს. ამ დროს კაბუს უკან მდგომი ოთხი ფარკადაში ხართან მირბის და მის შეჩერებას ლამობს, მეექვსე კი ცხოველს კუდში ებღაუჭება და უკან გათრევას ცდილობს. ასეთი ზედახორა ერთხანს გრძელდება, მერე გამძვინვარებული ხარი თანდათან წყნარდება და არენასაც ტოვებს.

ტოურადის მერე, გვიან ღამით დიდი სახალხო სეირნობაც იწყება, ხალხი კი ხშირად იხსენებს კერპადქცეულ თავიანთ ტოურეირუსების მამაცობას, კავალეირუსების, ბანდარილეირუსებისა და ფარკადაშების გამბედაობასაც; იხსენებს გადარეულ ხართა მძვინვარებასაც, რომელიც აბუჩად აგდების მიუხედავად ბედნიერია, რაკი არ კლავენ სხვა ქვეყნებში გამართულ კორიდებში მონაწილე თანამოძმეთაგან განსხვავებით.

იქნებ სწორედ ამან განარისხა ხარი თუ წითელი ხარის წელი, რომლის დადგომამაც თავზარი დასცა ბევრ ქვეყანას, თითქოს თეზევსის მიერ ძლეული მინოტავრის ჯავრის ამოყრას ლამობსო, მაგრამ ეს ჩვენი წიქარა რაღამ გადარია?

**ავთანდილ გურასაშვილი**



ოლიმპიური კორიდა მეხიკოში



პორტუგალიური კორიდა

## რალი

# დაკარი აფრიკას ეკუთვნისო

ბოლო წლებში იმდენს საყვედურობდნენ „პარიზი — დაკარი“ რალის მომწყობებს, თქვენი ღონისძიება ერთობ სახიფათო რამააო, რომ ამათ ჯერ პარიზიდან გრანადაში გადაიტანეს სტარტი, წელს კი ევროპას საერთოდაც უგანეს და დაწესებიდან პირველად მთელს შეჯიბრს აფრიკაში მართავენ. მთავარი ორგანიზატორი და რალის ყოფილი გამარჯვებული იუბერ ორიოლი ამის გამო ამბობს, მსოფლიოს ამგვარად შევახსენეთ, რომ „დაკარი“ აფრიკამ გააჩინა და მასვე ეკუთვნისო.

წლევანდელი რალი 4 იანვარს დაიწყო და 19-ში დასრულდება. მარშრუტი ოთხად-ოთხი ქვეყნის — სენეგალის, მალის, მავრიტანიისა და ნიჟერის მიწაზე გაივლის. ეს უკანასკნელი წელსღა ალადგინეს. არადა, იყო დრო, რალი აფრიკის უკიდურეს სამხრეთ წერტილში — ქეიფთაუნში რომ დასრულებულა.

წელს რალს დაკარი — აგადეს — დაკარი ჰქვია. დაკარი სენეგალის დედაქალაქია, აგადესი — ნიჟერის ქალაქი. მონაწილეობს 100 მანქანა, 128 მოტოციკლი და 55 საბარგო. არსად ჩანან ფრანგული სიტროენები და პეჟოები. სამაგიეროდ, მრავლად არიან ტოიოტები, ნისანები და, რა თქმა უნდა, მიცუბიშები, ბოლო წლებში ერთობ რომ მძლავრობენ.

წელს ახალი წესები მოქმედებს. შეზღუდულია თვით მანქანისა და თვლების ზომები, აგრეთვე მონაწილეთა შეწევნა. აკრძალულია ქარხნის გუნდების ასპარეზობა. უსაფრთხოება ვითომც გაუმჯობესებულია. ისე კი, რალს უკვე აშკარა სამოყვარულო სულისკვეთება ეტყობა, რის გამოც დაბრუნებიან ოდინდელი მონაწილეები, თავის დროზე ქარხნის გუნდების გრიალის გამო რომ აუცრუვდათ გული.

რალს ზედ სტარტის წინ გამოაკლდა ბელგიელი ვეტერანი, ფორმულა-1-ის ყოფილი პილოტი და 1983 წლის დაკარის გამარჯვებული ჟაკი იქსი, ვისაც ქალიშვილ ვანინასთან ერთად უნდა ეასპარეზა. ჟაკის ვირუსული გრიპი შეეყარა.


„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


I ეტაპზე (4. I; დაკარი — ტამბაკუნდა; 587 კმ) ერთბაშად სამმა მიცუბიშმა იმარჯვა: ჟან-პიერ ფონტანემ (საფრანგეთი) 2 წუთითა და 25 წამით აჯობა ბრიუნო საბის (საფრანგეთი) და 3.21-ით კენძირო შინოზუკას (იაპონია). ჟან-ლუი შლესერმა (საფრანგეთი, ბაგი) გამარჯვებულთან 5.31 წააგო. მოტოციკლების შეჯიბრში დაწინაურდა რალის ოთხგზის გამარჯვებული სტეფან პეტრანსელი (საფრანგეთი, იამაჰა).

II ეტაპი (5. I; ტამბაკუნდა, სენეგალი — კაიესი, მალი; 505 კმ) მოიგო შლესერმა და ჯამში დაწინაურდა. საბი მას 48 წამით ჩამორჩებოდა, შინოზუკა — 1.02-ით, ხოლო ფონტანე — 1.12-ით. პეტრანსელმა ისევ იყოჩაღა და 15.14-ით დაშორდა უახლოეს მდევარ დანი ლაპორტს (აშშ, კტმ). მოხდა პირველი ტრაგედიაც. 247-ე კილომეტრზე მკვდარი იპოვეს 45 წლის ფრანგი მოტოციკლისტი ჟან-პიერ ლედიუკი, რომელიც წაქცეულა, მაგრამ ექიმები 20 წუთის დაგვიანებით ძლივს მისულან ავარიის ადგილზე. ლედიუკი შეიქნა 1979 წელს დაწესებული რალის 34-ე მსხვერპლი!

ლიდერი შეიცვალა III ეტაპზეც (6. I; კაიესი — ნარა; 552 კმ), რომელზეც შინოზუკამ სამნახევარ წუთზე მეტი მოუგო შლესერს, ფონტანესა და საბის. ამის შემდეგ იაპონელს შლესერი 2.41-ით ჩამორჩებოდა, ფონტანე — 4.12-ით, ხოლო საბი — 4.33-ით. პეტრანსელმა ეს ეტაპიც მოიგო, ოღონდაც ერთი კინკილა წამით აჯობა ესპანელ ხორდი არკარონს (კტმ).

IV ეტაპი (7. I; ნარა — ტიმბუქტუ; 658 კმ) ორად გაიხლიჩა. საქმე ისაა, რომ შუა ეტაპზე მოსეირეები გზას შეესივნენ და შეჯიბრი ოთხი საათით შეაფერხეს.

ამ პაუზამდე შინოზუკა მიდიოდა მაგრად, მერე კი საბიმ უფრო იყოჩაღა. ამის შედეგად ფრანგი იაპონელზე 61 წამით წინ დარჩა. ფონტანემ მესამე ადგილი შეინარჩუნა, შლესერი კი მეოთხემდე ჩამოქვეითდა. მოტოციკლებში პეტრანსელს ისევ არ ჰყავდა ბადალი და ერთ საათზე (!!) მეტით გაუსწრო არკარონს, ლაპორტს კი მხარი ელრძო და რალს შეეშვა.

ოთხშაბათს 415-კილომეტრა V ეტაპი ისევ ფონტანემ მოიგო. საბი მესამე ადგილზე გავიდა, რის გამოც ჯამში 9 წამსღა უგებდა შინოზუკას. ფონტანე ლიდერს 47 წამით ჩამორჩებოდა. რაც შეეხება პეტრანსელს, მართალია, მან ველარ გაიმარჯვა, მაგრამ მეორე ადგილზე მყოფ არკარონს მაინც საათს, 10 წუთსა და 30 წამს უგებდა.

## მთის თხილამურები

# ტომბამ კვლავ იჯუჯღუნა

ვაჟთა მსოფლიო თასზე დღესა და ხვალ შამონიში (საფრანგეთი) გაიმართება დაშვება და სლალომი და სეზონის პირველი კომბინირებული გამარჯვებულიც გამოვლინდება. საერთაშორისო ფედერაციამ ერთი პირობა იქვე დანიშნა 8 დეკემბერს კანადაში ჩაშლილი სუპერ-გიგანტიც, მაგრამ მასპინძლებმა დროულად შეუთვალეს, მესამე ტრასის გამზადებას ვერ უზრუნველვყოფთო და ზედმეტი საზრუნავი აიცილეს.

ჯამური ჩათვლის მოწინავე ათეული (14 ეტაპის შემდეგ) ასე გამოიყურება: ჰანს კნაუსი (ავსტრია) 461 ქულა; მიხაელ ფონ გრენიგენი (შვეიცარია) 447; თომას სიკორა (ავსტრია) 382; ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 355; ლიუკ ალფონი (საფრანგეთი) 352; სთივ ლოხერი (შვეიცარია) 307; იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 292; ზიგფრიდ ფოგლრაითერი (ავსტრია) 181; კრისტიან გედინა (იტალია) 279; კრისტიან მაიერი (ავსტრია) 356

შობა-ახალ წელს გაიმართა სამი ეტაპი და ერთიც საჩვენებელი სლალომი, რომელიც მსოფლიო თასში არ ითვლებოდა.

**29. XII. ბორმიო (იტალია). დაშვება (3270 მ; სიმაღლეთა სხვაობა 1010 მ): 1. ალფონი; 2. ვილიამ ბესე (შვეიცარია) 0,21; 3. გედინა 0,67.** ტრასა ერთობ მოყინული და სახიფათო იყო. 31 წლის „ლიუშომ“, ამ სახეობაში მსოფლიო თასის მფლობელი რომაა, კარიერაში მერვე დაშვება მოიგო. მანვე გაიმარჯვა ცხრა დღით ადრე, ვალგარდენაში (იტალია) და დაშვების მსოფლიო თასს 320 ქულით ლიდერობს. გედინას 265 ქულა აქვს, ფრიც შტრობლს (ავსტრია) — 194.

ალფონს ამ გამარჯვებით 10ს ქულა რომ შეემატა, 12 ეტაპის ჯამში მეორე ადგილამდე აღზევდა. ლიდერი კნაუსი დაეცა და დაშვება ვერ დაამთავრა.

**1. I. სესტრიერე (იტალია).** „გაძეტა დელო სპორტმა“ წლევანდელი მსოფლიო პირველობის ბინაზე გამართა შოუ — ღამის სლალომი, რომლის გამარჯვებულიც არა-ტრადიციულად — სამი ცდიდან ორი უკეთესის ჯამით უნდა გამოვლენილიყო.

იმარჯვა და ჯილდოდ 35 ათასი დოლარი მიითვალა სიკორამ, რომელსაც პირველ ცდაზე მეოთხე შედეგი აღმოაჩნდა, მაგრამ მეორე და მესამე ცდებზე ბადალი არა ჰყავდა. მან ჯამში 1,51 წამი მოუგო თანამემამულე თომას შტანგასინგერს, ხოლო 1,83 — ნორვეგიელ თომ სტიანსენს.

სლალომის კარუზოსა და მასპინძელთა კერპ ალბერტო ტომბას მარცხი შეემთხვა: პირველ ცდაზე ფინიშთან კარი გამორჩა, მეორეზე კი თხილამური გაძვრა, საშინელი ზღართანი მოადინა, მარჯვენა ხელის მტევანი დაიშავა და სახეც გაუთოვლიანდა. ტომბა ისე გამწარდა, რომ მესამე, არაფრისმომტანი ცდა აღარც გამოუყენებია.

**5. I. კრანშკა გორა (სლოვენია). გიგანტური სლალომი: 1. ფონგრენიგენი; 2. ფოგლრაითერი 1,64; 3. ომოდტი 2,36.** თავის საყვარელ სახეობაში ფონგრენიგენმაც ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო, თან ისე, რომ ორივე ცდაზე საუკეთესო დრო ჰქონდა, ფოგლრაითერი კი პირველად მოხვდა სამეულში. ტომბამ ამ სეზონში პირველად სცადა ძალა გიგანტურ სლალომში, მაგრამ აქაც მეორე ცდაზე დაეცა. რაც შეეხება კნაუსს, მან მეექვსე ადგილი დაიჭირა და ამისი წყალობით ჯამური ლიდერობაც შეინარჩუნა, თორემ ფონგრენიგენი გაუსწრებდა. გიგანტური სლალომის ჩათვლაში ფონგრენიგენს 380 ქულა აქვს, კნაუსს — 280, ლოხერს კი — 247.

**6. I. იქვე. სლალომი: 1. სიკორა; 2. სებასტიან ამიე (საფრანგეთი) 0,36; 3. შტანგასინგერი 0,41.** ამ სახეობაშიც ბევრი არაფერი შეცვლილა. სიკორამ ამ სეზონში მესამედ გაიმარჯვა. სლალომებში მას 380 ქულა აქვს, შტანგასინგერს — 200, ამიეს — 176.

ეტაპი სკანდალური გამოდგა. ამბოხი, რა თქმა უნდა, ტომბამ წამოიწყო. შეჯიბრი დაწყებულიც არ იყო, ალბერტომ რომ შეკრიბა მონაწილენი და რაკი ნისლი ჩამოწოლილიყო, ეტაპის გადადება მოითხოვა, ასპარეზობა ერთობ სახიფათოაო.

მერე ნისლი ცოტა გაიფანტა და შეჯიბრი მაინც გაიმართა. ტომბამ საბოლოოდ კარიერაში უცუდესი — მერვე (!) ადგილი დაიჭირა და ისე განაწყენდა, რომ ორგანიზატორებს დაექადნა, ასეთ ამინდში ჩემი იმედი ნუღარ გექნებათო. ნორჩმა კოლეგებმა ბებერი მოთხილამურე გაამართლეს, მაგრამ ისიც შენიშნეს, მაგას უკვე ყველაფერი მოხვეჭილი აქვს, ჩვენ კი რაკი ბევრი არაფერი გაგვაჩნია, იძულებული ვართ, რისკი გავწიოთო.



28 დეკემბერი. ზემერინგი (ავსტრია). სლალომი. კვარცხლბეკზე (მარცხნიდან): ანიტა ვახტერი (ავსტრია, III), პერნილა ვიბერგი (შვედეთი, I), დებორა კომპანიონი (იტალია, II). ამ გამარჯვებით ვიბერგი მსოფლიო თასის ლიდერი შეიქნა

როიტერს-ის ფოტო

# ვიბერგი თუ ზაიცინგერი?

ამ უქმეებზე ქალები ასპარეზობენ ბადკლაინკირხჰაიმში (ავსტრია), სადაც დაშვება და სუპერ-გიგანტია დაგეგმილი.

მსოფლიო თასის მოწინავე ათეული (13 ეტაპის ჯამი): პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 718 ქულა; კატია ზაიცინგერი (გერმანია) 563; ჰილდე გერგი (გერმანია) 453; დებორა კომპანიონი (იტალია) 395; ანიტა ვახტერი (ავსტრია) 365; ურსკა ჰროვატი (სლოვენია) 359; კლაუდია რიგლერი (ზელანდია) 289; მარტინა ერთლი (გერმანია) 277; იზოლდე კოსტნერი (იტალია) 230; პატრისია შოვე (საფრანგეთი) 206

ქრისტეშობის შემდეგ ოთხი ეტაპი გაიმართა. მანამდე ზაიცინგერი 32 ქულას უგებდა ვიბერგს, მაგრამ მსოფლიო თასის მფლობელმა გერმანელმა ორ-ეტაპა არდადეგები მოიწყო და საკმაოდ ჩამორჩა, მით უფრო, რომ უნივერსალმა ვიბერგმა ერთობ წარმატებით იასპარეზა.

**28-29. XII. ზემერინგი (ავსტრია). ტყუპი სლალომი: 1. ვიბერგი; 2. კომპანიონი 1,12; 3. ვახტერი 1,18 და 1. კომპანიონი; 2. შოვე 1,05; 3. რიგლერი 1,71; 4. ვიბერგი 1,72.** აქამდე სეზონში ორი სლალომი იყო გამართული. ორივეჯერ გაიმარჯვა რიგლერს, ვიბერგი კი მეორე ადგილზე გასულიყო. შვედმა დამაჯერებელი რევანში აიღო შაბათს, თანაც ორივე ცდაზე საუკეთესო შედეგი გაახერხა.

რიგლერი პირველი ცდის მერე მესამე ადგილზე იყო, მაგრამ საბოლოოდ მეცხრემდე დაქვეითდა. სამაგიეროდ, კომპანიონიმ მეექვსე ადგილიდან მეორეზე აინაცვლა. ამ გამარჯვებით ვიბერგი, ვინაც შობაზე მშობლებს სწვევია, ოთხივე სახეობის ჯამშიც დაწინაურდა და სლალომის ჩათვლაშიც.

კვირას ვიბერგს პირველ ცდაზე კინაღამ კარი გამორჩა და მე-13 ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ მეორე ცდაზე საუკეთესოდ გალია ტრასა და 0,01 წამი დააკლდა კვარცხლბეკამდე. გამარჯვებულ კომპანიონის პირველ ცდაზე ჰქონდა საუკეთესო დრო. რაგინდ უცნაურიც იყოს, ამ 26 წლის იტალიელმა ქალმა, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი რომაა, სლალომი კარიერაში პირველად მოიგო, რაც მის მიერ მსოფლიო თასზე მოპოვებული მერვე გამარჯვება აღმოჩნდა.

**3. I. მარიბორი (სლოვენია). გიგანტური სლალომი: 1. საბინა პანძანინი (იტალია); 2. ვახტერი და კომპანიონი 0,08.** პირველი ცდის შემდეგ კომპანიონი ლიდერობდა, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა 24 წლის ქალმა, ვინაც მაისში გათხოვილა, მერე კი საგანგებოდ უმკურნალია წელი და ექიმთა რჩევით წონაში 5 კილოც დაუკლია.

თოვდა და ნისლი იწვა. ტემპერატურა მინუს 5 გრადუსი იყო. პანძანინი პირველი ცდის შემდეგ მეხუთე ადგილზე იყო. შეჯიბრი რომ მორჩა, ისა და კომპანიონი იტალიის დროშაში გაეხვივნენ და სურათი გადაიღეს.

მასპინძლები თავიანთ ჰროვატს ქომაგობდნენ, მაგრამ ურსკა საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დარჩა. ზაიცინგერი დაბრუნდა: თუმც პირველი ცდის შემდეგ მე-14 ადგილზე იყო, მეექვსემდე აღზევდა და ცოტა წამოეწია ვიბერგს, რომელიც 25-ე ადგილზე გავიდა. სამი გიგანტური სლალომის შემდეგ ამ სახეობის მსოფლიო თასს 200 ქულით ლიდერობენ პანძანინი და ზაიცინგერი, კომპანიონისა და ვახტერს კი 160 ქულა აქვთ.

**4. I. იქვე. სლალომი: 1. ვიბერგი; 2. ჰროვატი 0,77; 3. ლარა მაგონი (იტალია) 1,91.** ვიბერგი პირველი ცდის შემდეგ 0,3 წამით იყო წინ და გამარჯვება აღარ გაჭირვებია, ჰროვატი კი ბოლოსდაბოლოს ავიდა კვარცხლბეკზე. 27 წლის მაგონიმ კარიერის საუკეთესო შედეგს რომ მიაღწია, ატირდა.

აი, ვიბერგისთვის კი მოგება უცხო სულაც არ ყოფილა. 26 წლის ქალს ოლიმპიადებსა და მსოფლიო პირველობებზე ხუთი ოქრო აქვს მოპოვებული, მსოფლიო თასის ეტაპებზე კი იმ დღეს მე-16-ედ გაიმარჯვა, სლალომი კი მე-11-ედ მოიგო.

## ჩოგბურთი

# ბარემ სტერეოებიც მოიტანონო!



ზანგმა კაპიტანმა იანიკ ნოამ საფრანგეთის ვაჟთა ნაკრებს შარშან მეორედაც რომ მოაგებინა დევისის თასი, დაირაზმნენ დიაცებიც: მარი პირსი, ჟიული ალარი, ნატალი ტოზია და სანდრინ ტესტიუ და თავიანთი ნაკრების დამოძღვაზეც დაიყაბულეს. ფრანგ ქალებს აქამდე ფრანსუაზ დიური თავ-ქალობდა და ზედიზედ სამჯერაც გაუყვანია ფედერაციის თასის ნახევარფინალში.

ორშაბათს მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობა რომ იწყება, მისთვის ვაჟ მოთამაშეთა ერთი ნაწილი შორს — სპარსეთის ყურეში მოემზადა, სადაც წინა კვირაში ყატარის ღია პირველობა გაიმართა.

გაიმარჯვა ვეტერანმა ამერიკელმა ჯიმ კურიემ (8), ვინაც ფინალში 2 საათსა და 24 წუთში, ცივ ქარში 7:5, 6:7 (5:7), 6:2 დაამარცხა 22 წლის ბრიტანელი თიმ ჰენმანი, კარიერის მე-20 ტიტული მოიპოვა და 84 ათასი დოლარიც მიითვალა. ამ მოგებით ავსტრალიის ორგზის ჩემპიონი კურიე კლასიფიკაციის მე-15 საფეხურზე დამკვიდრდა, რაც იმის გარანტიაა, რომ მელბურნში განთესენ.

ფინალში გასვლა ჰენმანისათვის დიდი წარმატება იყო, რაკი ბოლო 11 თვის მანძილზე შვიდი (!) ნახევარფინალი წააგო. 29-ე ჩოგანმა თიმმა დოჰაში ამ ეტაპზე 6:3, 2:6, 6:2 დაამარცხა მაროკოელი ჰიშამ არაზი (78-ე), კურიემ კი სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:4, 6:2 გააგდო.

პირველ ნომრად განთესილი ავსტრიელი თომას მუსტერიც კურიემ შეიწირა — მეოთხედფინალში ზედიზედ მეშვიდედ (!) დაამარცხა 6:3, 7:5. მუსტერმა წაგება იმითაც ახსნა, რომ წინადღით 2 საათი და 13 წუთი მოანდომა ნორვეგიელი კრისტიან რუუდის ძლევას 6:2, 3:6, 7:5.

ამ თამაშში მუსტერი ერთობ შეუწუხებია მაყურებელთა მობაილ-ფონებს, რომლებიც წამდაუწუმ რეკდნენ და ჩოგბურთელებს ყურადღებას უფანტავდნენ. ამის გამო ავსტრიელს მოსწრებულად შეუნიშნავს, მოსეირეებს ტრიბუნებზე გადანაცვლების უფლება რომ დართეს, უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ თუ ქცევის ნორმების ლიბერალიზაცია ასე გაგრძელდა, მაყურებლები მალე ალბათ სტერეო-მაგნიტოფონებსაც მოიტანენ და მცირე პიკნიკს გაგვიმართავენო.

საერთაშორისო ფედერაციამ იმსჯელა და ახალ წელს ტრადიციულად დაასახელა წინა წლის მსოფლიო ჩემპიონები. ვაჟთაგან ეს პატივი ერგო ამერიკელ პიტ სამპრასს, ქალთაგან — გერმანელ შტეფი გრაფს. ფედერაციის არჩევანის სისწორეს ადასტურებს პროფ-ასოციაციების რეიტინგ-ნუსხებიც, რომლებსაც სწორედ რომ სამპრასი და გრაფი მოქცევიან კენწეროში.

წარჩინებულთა დაჯილდოება პარიზში, საფრანგეთის ღია პირველობის დროს დათქმულ საგანგებო წვეულებაზე მოხდება.

## რაგბი




# შუაღამის ფინალი

სამხრეთ ნახევარსფეროში გაგანია ზაფხულია. ზოგან ძალიანაც ცხელა. ასე, მაგალითად, ცნობილ სანაპირო კურორტ პუნტა-დელ-ესტეში (ურუგვაი) ისეთი ხვატი იდგა, რომ იქ 4-5 იანვარს გამართული ტრადიციული საშვიდკაცო ტურნირის თამაშები დღის ოთხი საათისთვისღა იწყებოდა, ფინალი კი მაშინ მთავრდებოდა, ღამის პირველ საათი რომ სრულდებოდა.

წელს ეს შვიდკაცა მსოფლიო თასის ბოლო შესარჩევი ტურნირიც იყო. თამაშდებოდა ხუთი საგზური, რაკი სამი იმთავითვე იყო განაწილებული, რვა-რვა კი ლისაბონისა და დუბაის შვიდკაცებში შარშან დარიგდა. საქართველომ ივნისში ლისაბონში იასპარეზა, მაგრამ სანუკვარ რვეულამდე ბევრი დააკლდა.

პუნტას შვიდკაცაც რთული სისტემით გაიმართა. შაბათს 16 მონაწილემ ოთხ ჯგუფად იასპარეზა. მერე მოხდა გუნდების ხელახალი კლასიფიკაცია და გადანაწილება. ჰოდა, წარმოჩნდა მსოფლიო რაგბის მამათა მიერ შეთითხნილი სისტემის მთელი იდიოტიზმი.

ერთ ჯგუფში იაპონიამ, ჰოლანდიამა და ჩილემ ორ-ორი თამაში მოიგეს, მეორეგან ორი მოგება აღმოაჩნდა ტრინიდად-ტობაგოს და იქ სამოას კვალად მეორე ადგილიც დაიჭირა, მაგრამ ბევრი ვერ გაიტანა და საერთო დავთრის პირველ რვეულში ამიტომ ვერ მოხვდა, რითაც მსოფლიო თასზე მოხვედრის იმედი გადაეწურა. სამოამ, არგენტინამა და საფრანგეთმა ჯგუფებში სამივე თამაში მოიგეს, ორი მოგება კი გერმანიასა და ქუქის კუნძულებსაც დაუგროვდათ.

კვირისთვის შეიქმნა ორი მეოთხედფინალური ჯგუფი. სამოამ და საფრანგეთმა ისევ დაამარცხეს სამივე მეტოქე, ქუქელებმა კი სენსაცია გააგორეს — 17:12 გააბურთავეს არგენტინა, ვისაც დიდი რაგბის ნაკრების ექვსი ვარსკვლავი ჰყავდა. არადა, წყნარ ოკეანეში ჩაკარგული ქუქის კუნძულების მოსახლეობა სულ რაღაც 30 ათასი სულია, რაგბს კი სამ კლუბად გაერთიანებული 170 კაცი თამაშობს.

ქუქელებმა მერე ნახევარფინალი 7:45 წააგეს სამოასთან, მაგრამ მესამე ადგილის თამაშში 31:24 აჯობეს იაპონიას. მეორე ნახევარფინალში საფრანგეთმა 24:14 დაამარცხა აზიელები, ფინალი კი 33:14 მოუგო სამოას, რომელსაც თავიდანვე დემტვრა ბრაიან ლიმა. რაც შეეხება ბოლო, მეხუთე საგზურს, იგი გერმანიის 47:12 ძლევით მაინც არგენტინამ მოიპოვა.

ამრიგად, მსოფლიო თასზე (ჰონკონგი, 21-23 მარტი) ითამაშებენ: ინგლისი (ჩემპიონი), შოტლანდია, ირლანდია, უელსი, საფრანგეთი, რუმინეთი, ესპანეთი, პორტუგალია; ავსტრალია (ვიცე-ჩემპიონი), ზელანდია, ფიჯი, სამოა, ტონგა, ქუქის კუნძულები; სამხრ. აფრიკა, ნამიბია, ზიმბაბვე, მაროკო; არგენტინა, კანადა, აშშ; იაპონია, კორეა, ჰონკონგი. წინა თასიდან (ედინბურგი, 1993) ფინალში ველარ მოხვდნენ იტალია, პოლანდია, ტაივანი და ლატვია, ახალბედები კი მაროკო, პორტუგალია, ზიმბაბვე და ქუქელები არიან.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29